სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ნანა მარიამიძე

თამრი ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: გიორგი ხორბალაძე

ასოცირებული პროფესორი

გორი

2020

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თამრი ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები. თამრი ფხაკაძე უდაოდ არის ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე მწერალი რომლის შემოქმედებაც კომპლექსური შესწავლის საგანი დღემდე არ ყოფილა. ამდაგვარი კომპლექსური ნაშრომის შექმნა კი წარმოადგენდა საინტერესო სამუშაოს და ამავდროულად ურთულეს გამოწვევას, რამდენადაც პრაქტიკულად სუფთა ფურცლიდან მოგვიწევდა საქმიანობის დაწყება, თუმცა თამრი ფხაკაძის პროზის სიღრმემ და მრავალპლანიანობამ გვიბიძგა იმისაკენ რომ არ შევშინებოდით სირთულეებს და შევჭიდებოდით ამდაგვარ გამოწვევას.

სამაგისტროთემისაქტუალობასგანაპირობებსრამდენიმე გარემოება, პირველ ყოვლისა მიმდინარე სალიტერატურო პროცესის თვისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს რომ მოშლილია ყოველნაირი საზღვარი და ყველას ყველაფერი შეუძლია წეროს და გამოაქვეყნოს, ეს კი აგროვებს ზღვა მასალას, რომელთა შორის გამორჩეულის და განსაკუთრებულად ღირებულის პოვნა კიდევ უფრო რთულდება, ამიტომ თანამედროვე სალიტერატურო კრიტიკაში ჩვენი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია,თანამედროვე ავტორების შესწავლა და ხარისხიანი ლიტერატურის გამიჯვნა უამრავი ტექსტისაგან.

ასევე მნიშვნელოვანია ლიტერატურის კრიტიკაში კონკრეტული მწერლისშემოქმედების კრიტიკული ანალიზი და იმ ზოგადი ტენდენციებისა თუ დამახასიათებელი ნიუანსების გამოკვეთა, რომელიც განმსაზღვრელი ფაქტორია ავტორის შემოქმედებითი მემკვიდრეობის შეფასებისას. ამდენად, სამაგისტრო თემის ფარგლებში შევეცადეთ მკითხველისთვის გვეჩვენებინა, თამრი ფხაკაძის ინდივიდუალური შემოქმედებითი სამყაროს დეტალებიცა და გლობალური გააზრებანიც, რომელთა მეშვეობით, მწერლის პროზა გამორჩეულ ადგილს იკავებს თანამედროვე ქართულ სალიტერატურო სივრცეში.

როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომშიგაანალიზებულისაკითხი - თამრი ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები, ქართულსამეცნიეროლიტერატურაშიარ არის შესწავლილი, შესაბამისად საკვლევი თემატიკა წარმოადგენს სამეცნიერო სიახლეს და ამდენად, მისი დამუშავებაც გამართლებულია კვლევის თვალსაზრისით. ამასთანავე, სწორედ, ამ ტენდენციათა ერთიანობაა რაც,საინტერესოდ კრავს თამრი ფხაკაძის - უდაოდ გამორჩეულად ნიჭიერი ავტორის შემოქმედებას.

Summary

The main tendencies of Tamri Pkhakadze's creative work is discussed in the master's thesis.Tamri Pkhakadze is undoubtedly one of the best contemporary writers whose work has not been the subject of complex study until today.Creating such a complex work was a very interesting and at the same time the most difficult challenge, as we would have had to start working from a practically clean sheet of paper, however, the depth and versatility of Tamri Pkhakadze's prose gave us stimulus not to be afraid of difficulties and to face such a challenge.

The actuality of the master's thesis is determined by several circumstances, first of all, the peculiarity of the current literary process, which is that all boundaries are broken and everyone can write and publish everything, and it collects a lot of material, among which it is even more difficult to find something special and especially valuable. Therefore, in our opinion, it is very important in modern literary criticism, the study of contemporary authors and the separation of quality literature from numerous texts as well.

It is also important to critically analyze the creative work of a particular writer in literary criticism and to identify the general tendencies or characteristic nuances that are a determining factor in assessing the author's creative heritage. Thus, within the master'sthesis, we tried to showto the reader the details of Tamri Pkhakadze's individual creative world and global thinking, through which the writer's prose has a prominent place in the modern Georgian literary space.

As we have mentioned, the issue analyzed in the paper - the main tendencies of Tamri Pkhakadze's creative work - has not been studied in the Georgian scientific literature, therefore the research topic is a scientific novelty and thus, its processing is justified in terms of research. At the same time, the unity of these tendencies makes Tamri Pkhakadze's, an undoubtedly exceptionally talented author's creative work very interesting.

სარჩევი

შესავალი 6

თავი I.საკითხისშესწავლისისტორია 13

თავი II. ქართულ-რუსულიკონფლიქტისგამოძახილი 18

§.1.ოთხმოცდაათიანიწლებითდაღდასმულითაობა 18

§.2.სამაჩაბლოსადააფხაზეთისომებისლიტერატურულრეფლექსია 31

თავი III. რეალისტურიპროზა 39

§.1. პერსონაჟებშიგამოხატულიავტორი 39

§.2. ადამიანისდანიშნულებისძიებამხატვრულშემოქმედებაში 47

თავი IV. თემატურიტენდენციები 52

§.1. თემატურიპრობლემატიკისანალიზი 52

§.2. ემიგრაციისპრობლემამხატვრულტექსტებში 53

§.3. დედა-შვილობისადამამა-შვილობისგანცდამწერლისშემოქმედებისმიხედვით 56

§.4. პიროვნულითვისუფლებისწყურვილიმხატვრულნარატივში 60

დასკვნა 65

გამოყენებულილიტერატურა ..... **Error! Bookmark not defined.**

შესავალი

წინამდებარე ნაშრომში ჩვენი კვლევის საგანია, თანამედროვე ქართველი მწერლის, თამრი ფხაკაძის შემოქმედების ზოგადი ანალიზი, მასში არსებული ტენდენციების გამოკვეთა, მწერლისეული ფილოსოფიის ამოკითხვა და არსებულ ტენდენციათა ერთგვარი კლასიფიცირება. აღვნიშნავთ, რომ საკითხით ჩვენი დაინტერესება, პირველ ყოვლისა, გამოწვეულია თავად მწერლის შემოქმედების სიღრმიდან გამომდინარე, რის გამოც, ვფიქრობთ, რომ თამრი ფხაკაძე უდაოდ არის ერთ-ერთი გამორჩეულად ნიჭიერი თანამედროვე ქართველი ავტორი, რომლის ნაწარმოებებსაც ატყვია განსაკუთრებული სიტყვის ოსტატის ხელი და რომელიც უდაოდ მრავალფეროვანი შემოქმედიებითაა წარდგენილი მიმდინარე სალიტერატურო პროცესში.

ჩვენი აზრით, თამრი ფხაკაძე სწორედ იმ თანამედროვე ქართველ მწერალთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც მეოცე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთე საუკუნისთვის დამახასიათებელ ინტერდისციპლინარულ გარემოში, მწერლური ოსტატობის მრავალფეროვნებისა და საკუთარი მსოფლმხედველობის საინტერესოდ წარმოჩენის შედეგად, განსაკუთრებულ ადგილს იკავებენ თანამედროვე ლიტერატურაში. თამრი ფხაკაძის ნაწარმოებებში შთამბეჭდავად წარმოჩინდება ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ძირითადი ტენდენცია, მისთვის განსაკუთრებით საინტერესოა რელიგიური და მითოლოგიური ასპექტები, ღრმა ფსიქოლოგიზმი და ადამიანის სულიერი სამყაროს წვდომა და, რა თქმა უნდა, თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში უდაოდ არის საინტერესო გამოხატვის ავტორისეული მანერა, ეს ყოველივე კი, ერთიანობაში, წარმოშობს მრავალფეროვან და მრავალმხრივ საინტერესო შემოქმედებით მოსავალს.

ნარკვევში ,,მარადიული პრობლემების ხედვა თანამედროვე მოთხრობაში“, მკვლევარი გიორგი ხორბალაძე აღნიშნავს:„მიმდინარე ლიტერატურული პროცესი საკმაოდ ქაოტურად ვითარდება; დღეისათვის პრობლემას არავისთვის წარმოადგენს დასაწერი თემატიკის შერჩევა, ყოველგვარი ზღვარი მოშლილია და ინტერნეტ–საიტებიც

აჭრელებულია იმ თანამედროვე ავტორთა ნამუშევრებით, რომელთაც არც პოპულარობა აკლიათ და არც მკითხველი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, თემატიკა არა პრობლემატურობიდან გამომდინარეა შერჩეული, არამედ - სკანდალურობიდან და, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევაში - თავისუფლების განცდის განუსაზღვრელი შემეცნებიდან: მთავარია, არ მოგერიდოს, სირცხვილის შეგრძნებამ არ შეგაწუხოს და შედეგიც სახეზეა – ერთ თვეში წიგნებსაც ბესტსელერად აქცევ და მკითხველ საზოგადოებასაც საფუძვლიანად ,,ჩაეკვეხები“ მეხსიერებაში.

....საბედნიეროდ, აქა–იქ უკუნში გამკრთალი სინათლის სხივივით აშუქებენ თითზე ჩამოსათვლელი თანამედროვე მწერლები. სწორი გზა რთულიც არის, ამიტომ მათ ერთი თვე და ერთი წელი არ ჰყოფნით მკითხველამდე მისასვლელად, გაცილებით მეტი დრო და შრომაა საჭირო. ამიტომ ხდება ზოგჯერ - აღმოაჩენ ახალგაზრდა მწერალს, გაიხარებ, დამწყებ შემოქმედს ეს რა კარგად დაუწერიაო და ჰოი, საოცრებავ, რა დამწყები - წლების წინ შექმნილ ნაწარმოებს კითხულობ, რომელსაც წინ კიდევ არაერთი მშვენიერი ნამუშევარი უძღვის. გვიან კი მხოლოდ იმიტომ გაიგე, რომ ავტორი არც ყვირის, არც იგინება, არც სირცხვილის შეგრძნება აქვს დაკარგული; არის თავისთვის და წერს, წერს იმაზე, რაზეც ეწერება, რასაც პრობლემატურად მიიჩნევს და რაც მისი და შენი ტკივილია. წერს და გელოდება მოთმინებით…“[ხორბალაძე,2018: 24-25].ჩვენი აზრით, შეფასების მეორე ნაწილში, მკვლევარი უთუოდ თამრი ფხაკაძესაც უნდა მოიაზრებდეს, რამდენადაც მის შემოქმედებაზე საკმაოდ საინტერესო სტატია და მოსაზრებები აქვს გამოქვეყნებული ლიტერატურული ნარკვევების კრებულში - ,,რაკურსი“, სწორედ ამიტომ, თანამედროვე ლიტერატურული პროცესის მოკლედ ასახვისთვის, ჩვენც გიორგი ხორბალაძის ამ შეფასებას დავესესხეთ, მით უფრო, რომ თამრი ფხაკაძის შემოქმედება სკანდალურობაზე კი არა, სწორედ სულის გამოძახილზე და ეროვნულ წუხილზე გაივლის ყველა ნაწარმოებში.

„თამრი ფხაკაძისნაწარმოებებსენისცვალებადობაახასიათებს. ათინაწარმოები რომაიღო, ათივეგანსხვადასხვაენა ისმის;ეს ყველაფერი მის უდიდესინიჭზე მიუთითებს.

ყველა ნაწარმოები სხვადასხვა ენით და სტილითაა დაწერილი, ყველა მისი პერსონაჟი განსხვავებულია. მწერალსუმეტესადსწორედენითცნობ, ფხაკაძესთანკი, პირიქით. ხანძაღლისტყავშიძვრება, ხან მსუბუქი ყოფაქცევის გოგოსენითლაპარაკობს, ხან - პროვინციელისკილოთი"[ქევანიშვილი,2013:1].

თ.ფხაკაძისშომოქმედებისმთავარღირსებასწარმოადგენსადამიანურიდეალები, სიმართლე.მის შემოქმედებაში არ იგრძნობა სიცრუე და სიყალბე. მასთავისისათქმელიაქვსმკითხველისათვის. ნაწარმოებებშისაკუთარდასხვათასამყაროში დაგროვილგანცდებსასახავს. მისპერსონაჟებშიმკვლელიცარისდამოკლულიც, მდიდარიცდაუპოვარიც.

თამრი ფხაკაძის შემოქმედება გამოირჩევა მრავალფეროვნებით და მის შემოქმედებას განსხვავებული გემოვნების მკითხველი ჰყავს. საფუძვლიანი ნაშრომი კი, რომელშიც კომპლექსურად იქნებოდა შესწავლილი თამრი ფხაკაძის შემოქმედება, მისი ძირითადი ტენდენციები, ამ დრომდე არ შექმნილა, აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი იქნება საინტერესოც და, ამავდროულად, სიახლის შემცველი მეცნიერული თვალსაზრისით.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ლიტერატურული პროცესების თავისებურებათა გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანია ცალკეული ავტორების შემოქმედების შესწავლა, რათა დიდ ნაკადში ხარისხიანი ლიტერატურა არ დარჩეს ყურადღების მიღმა და დროულად იქნას გამონაპირებული სამომავლო, კიდევ უფრო საფუძვლიანი შესწავლისათვის. რატომ მივიჩნევთ, რომ თამრი ფხაკაძის შემოქმედების კვლევა არის მნიშვნელოვანი? მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ რამდენიმე მიზეზი უკვე განვმარტეთ, ჩვენთვის მაინც ის გახლავთ უმთავრესი, რომ მის ნაწარმოებებში მთავარი ადგილი ეთმობა ცხოვრების ფილოსოფიურ აღქმას, მწერლის მიერ ადამიანის ფსიქოლოგიური ბუნების ამოხსნის მცდელობებსა თუ ფიზიკური და მეტაფიზიკური განზომილებების ძიების საინტერესო ინტერპრეტაციებს. მწერლის შემოქმედებაში ხაზგასმულია ცხოვრებისეული საკითხები, მარადიული ღირებულებები და ქართველი ერის ისტორის მნიშვნელოვანი

მომენტები, რაც ჩვენთვის ყველაზე უფრო საინტერესო და მიმზიდველი აღმოჩნდა კვლევის წარმოების თვალსაზრისით.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს თამრი ფხკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა. კვლევის მიზანია მწერლის ტექსტებისა და საკვლევი საკითხების ირგვლივ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით (რომელიც საკმაოდ მწირია), შედარებითი კვლევის მეთოდოლოგიის აქტიური გამოყენებისა და ტექსტების აქტუალურ საკითხებზე უშუალო ჩაღრმავების გზით, გამოვკვეთოთ მისი შემოქმედების კონკრეტული ასპექტები და ტენდენციები, რომლებსაც, ბუნებრივია, კვლევისავე ფარგლებში შევისწავლით და გავაანალიზებთ.

რა თქმა უნდა, ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია მწერლის შემოქმედების თუნდაც კონკრეტულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მის შემოქმედებაზე, როგორც აღვნიშნეთ, მწირი მასალა მოგვეპოვება, თუმცა, ჩვენ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში, კეთილსინდისიერად და არსებული შესაძლებლობების სრულფასოვანი გამოყენებით, შევეცადეთ შესასწავლი საკითხი საფუძვლიანად წარმოგვედგინა.

ჩვენი კვლევის ამოცანაა: თამრი ფხაკაძის შემოქმედების სოციო-კულტურული კონტექსტის შესწავლა, თამირ ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა და გამოკვლევა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული ტენდეციებზე დაყრდნობით, ასევე მისი ნაწარმოებების დამოკიდებულების გარკვევა ქართული თუ უცხოური პროზისა და პოეზიის სხვა ნიმუშებთან.

თამრი ფხაკაძის ნაწარმოებებში შთამბეჭდავად შეიგრძნობა მეოცე საუკუნის მიწურულისა და ოცდამეერთე საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა და იკვეთება არაერთი აქტუალური თეორიისა და ტენდენციის კვალი. სწორედ ამიტომ მისი გმირები, ხშირად ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ადამიანები არიან, თუმცა თითქმის ყველა მათგანიდან ტრაგიკული შინაგანი ბუნების მქონე ადამიანებიად იმზირებიან, რომელთაც ცხოვრებისეული, რთული პირადი გამოცდილება აიძულებს, ფილოსოფიურად მიუდგნენ საკითხებს და მკითხველიც სრულიად ჩაითრიონ. ჩვენ არ

ვიცით ჰყავს თუ არა თამრი ფხაკაძის პერსონაჟებს უშუალო პროტოტიპები, მაგრამ მათი შთამბეჭდავი ნამდვილობის შეგრძნება გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მათი ფილოსოფია რეალური სამყაროს გაგრძელებაა და, შესაბამისად, თამრი ფხაკაძის პერსონაჟების წარმომავლობაც რეალურ ცხოვრებაშია საძიებელი. თამრი ფხაკაძე კი, როგორც მთელი არსებით მწერალი, ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, ცხოვრებისეულ სიუჟეტებს ესწრაფვის და გარდასახავს საკუთარი შემოქმედების წიაღში. როგორც სოსო სიგუა აღნიშნავს - ,,პროზაიკოსი უნდა ესწრაფოს, პირველ ყოვლისა, ცხოვრებისეულ სიუჟეტებს, რადგან ყოველი აზრი, მედიტაცია, სიმბოლო თუ ალეგორია ემყარება ამბავს, ეფუძნება რეალურ მასალას, რაც ისევე მარადიული და აუცილებელია, როგორც მიწა სიცოცხლისთვის" [სიგუა,1994:403]

ნაშრომში ტექსტის ინტერპრეტაციის დროს გათვალისწინებულია კომპლექსური ლიტერატურათმცოდნეობითი მიდგომა. ლიტერატურული ტექსტის ანალიზის საფუძველს, ძირითადად, კრიტიკის რამდენიმე მეთოდოლოგია წარმოადგენს.

სტრუქტურული და თემატური ანალიზი ეყრდნობა XX საუკუნის 50-იან წლებში ჩამოყალიბებული თემატური კრიტიკის მეთოდოლოგიურ ბაზას, რომელიც ფსიქოანალიტიკური და სოციოლოგიური მეთოდების პარალელურად ჩამოყალიბდა.

,,თემატური კრიტიკის მიზანია მწერლის წარმოსახვითი სამყაროს გამოკვლევა. თემა კი არის ერთი კონკრეტული პრინციპი, ერთი ფიქსირებული სქემა ან ობიექტი, რომელსაც ეფუძნება კვლევა-ძიება. მკვლევრის მხრიდან ეს მოითხოვს ინტუიციის განსაკუთრებულ უნარს და საკვლევი ტექსტის ზედმიწევნით ცოდნას.

თემატური კრიტიკის მიხედვით, მწერლის დამოკიდებულება სამყაროსთან, სხვა ადამიანებთან, საკუთარ თავთან, მთლიანად ლიტერატურულ ნაწარმოებში ძევს, ნაწარმოებია ის ,,ადგილი", სადაც ავტორი საკუთარ თავს იგონებს, საკუთარ თავს შეიცნობს. აქედან გამომდინარე, ზედმეტია ავტორის ძებნა სადმე სხვაგან. თემატური კრიტიკა ყოველ ნაწარმოებს აბსოლუტურად ორიგინალურად მიიჩნევს. ნაწარმოები არის ის უნიკალური გამოცდილება, რომელსაც იღებს კერძო ცნობიერება სამყაროსთან დამოკიდებულებით. მკვლევარმა თავადაც უნდა გაიაროს ავტორის სულიერი გზა, უნდა

მიიღოს ის გამოცდილება, რომელიც ავტორმა მიიღო. ამისთვის საჭიროა დავიჭიროთ ის მუხტი, რომელიც წინ უძღოდა ლიტერატურული ნაწარმოების შექმნას.

ნაწარმოების თემათა დეფინიცია და ამოცნობა ზუსტ წესებს ემორჩილება. თემა არის ის საერთო მნიშვნელი, რაც აერთიანებს ერთი ავტორის ყველა ნაწარმოებს. თემის ამოცნობას განსაზღვრავს მისი პერიოდული განმეორება ნაწარმოებში, ავტორის შემოქმედებაში. აუცილებელი არაა, თემა მაინცდამაინც ერთი კონკრეტული სიტყვით იყოს მოცემული; თემა შესაძლოა იყოს მნიშვნელობათა ერთგვარი თანავარსკვლავედი, მნიშვნელობათა ქსელი. თემატური კრიტიკისთვის ის ფაქტი, რომ თემა შეძლება იყოს გარკვეული მემკვიდრეობა ლიტერატურული ტრადიციისა, ან იმ წარმოსახვითი სისტემისა, რომელიც საერთოა ერთი კულტურის მატარებელი, ერთ ენაზე მოსაუბრე სუბიექტებისთვის, გადამწყვეტი ფაქტორი არაა. არსებითია მისი რეკურენტულობა ერთი სისტემის ფარგლებში. უფრო მთავარია შინაარსის წესრიგი და ორგანიზება, ვიდრე თავად შინაარსი. საჭიროა თვალი გავადევნოთ თემის ,,მარშრუტს" მთელი ნაწარმოების მანძილზე. ნაწარმოების თემატური წაკითხვის მიზანია იპოვოს შემოქმედებითი წარმოსახვის დინამიკა, თემათა განშტოება და მისი სისტემატიზირება მოახდინოს" [ხორბალაძე, 2014: 11].

ასევე, ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ფენომენოლოგიური კრიტიკის მეთოდი, რომლის თვალსაზრისით, ,,ლიტერატურულ ნაწარმოებში ლოკალიზებული ,,სამყარო" წარმოადგენს არა ტიპურად ობიექტურ რეალობას, არამედ რეალობას, ორგანიზებულს და შემეცნებულს ინდივიდუალური სუბიექტის მიერ" [რატიანი, 2008: 86-90].

აღნიშნული კვლევის მეთოდების გათვალისწინების საშუალებით, შესაძლებლობა მოგვეცა, მოგვეხდინა კლასიფიკაცია საკითხებისა და ძირითადი ტენდენციებისა, თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში. მათი მიმდინარეობის, სიხშირისა და ინტენსიურობის გათვალისწინებით კი შევძელით ერთ მოცემულ სისტემაში გამოგვეყო ცალკეული პატარ-პატარა სისტემები, ნაწარმოების შიდა დინებები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტენდენციათა ერთან სისტემაში. თემატურმა მიდგომამ ნათელყო თამრი

ფხაკაძის შემოქმედების ზოგადი სტრუქტურა, რის გამოც, ვფიქრობთ, ჩვენი მეთოდოლოგიური მიდგომა ოპტიმალური აღმოჩნდა საკვლევი პრობლემატიკის სირთულეების დასაძლევად.

თავი I.საკითხისშესწავლისისტორია

თვალის ზოგადი გადავლებაც კი საცნაურს ხდის, რომ თამრი ფხაკაძის შემოქმედებასთან დაკავშირებით შექმნილი კრიტიკული წერილები, სტატიები თუ ლიტერატურული ნარკვევები საგრძნობლად მცირეა, იმასთან შედარებით, რა მასშტაბის ყურადღებასაც ესოდენ საინტერესო ავტორი იმსახურებს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ჩავუღრმავდით ამ თემას და ვცადეთ მოკვლევა განგვეხორციელებინა ამ მიმართულებითაც, კერძოდ, მოგვეძიებინა, დაგვეზუსტებინა და აღგვენუსხა თამრი ფხაკაძის შემოქმედების ირგვლივ არსებული სამეცნიერო სტატიები თუ ნარკვევები. ამ კუთხით საკმაო სირთულეს წარმოადგენდა სწორედ ის სიცარიელე რომელიც უხვად არის დატოვილი სალიტერატურო კრიტიკის სივრცეში ამ მწერალთნ მიმართებით, თუმცა გულწრფელად აღვნიშნავთ, რომ ამდაგვარ სირთულეს ახლავს ძალიან საინტერესო განვითარება, რამდენადაც თითოეული მოძიებული მასალა არის იშვიათობის პოზიტიური შემადგენელი და, ძირითადად, ერთგვარი უნიკუმიც. ამასთანავე, ამ მიმართულებით ნაწარმოები კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად დაგვეხმარა, აგვერჩია სწორი მიმართულება და ჩვენი ნაშრომის შემდგომი განვითარება წაგვეყვანა საჭირო მიმართულებით. ამდენად, ჩვენი მიზანი გახდა, შეძლებისდაგვარად, ამოგვევსო ფართო ვაკუუმი და კომპლექსური ნაშრომის შექმნით, დაგვეხაზა და გამოგვეკვეთა თამრი ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი კონტურები, რითც გავაჩენდით სოლიდურ პერსპექტივას, რომ ჩვენს მიეარ გაკეთებული ზოგადი მიმოხილვითი ნაშრომი შემდგომში კიდევ უფრო ფოკუსირდეს კონკრეტულ საკითხებზე.

თამრი ფხაკაძე 2001 წელს გამოდის შემოქმედებით ასპარეზზე და პირველივე გამოჩენისას იქცევს მკითხველის განსაკუთრებულ ყურადღებას. ეს არის: 90-იანი წლების ურთულესი საყოფაცხოვრებო ფონგამოვლილი მწერალი, რომელმაც კარგად უწყის საკუთარი ქვეყნის ჭირ-ვარამი და უკანასკნელი ისტორიული მოვლენების (ვგულისხმობთ მეოცე საუკუნის ბოლოდან დღემდე) თნამონაწილე და თვითმხილველია, რისი ასახვაც მას, როგორც გამორჩეულად ნიჭიერ მწერალს, სულ სხვანაირად ძალუძს.

თამრი ფხაკაძის შემოქმედება შესაძლებელია ერთდროულად იყოს რეალისტურიც და ირეალისტურიც, ტრაგიკულიც და კომიკურიც. მისი შემოქმედება გამოირჩევა თხრობითი სისადავით და ინფორმატიულობით, იგი ორიგინალურად და ზუსტად აღწერს ადამიანის სულის იდუმალ სიღრმეებს, მისი პერსონაჟები გამოირჩევნიან მრავალფეროვნებით, მის ნაწარმოებში არ იგრძნობა მწერლის გავლენა; იგი ცდილობს მკითხველს მისცეს სრული თავისუფლება და არ სურს მარწუხებში მოაქციოს მკითხველი, სწორედ ამას საუბრობს საკუთარ შემოქმედებაზე თამრი ფხაკაძე ეკა ქევანიშვილთან ინტერვიუში - სათაურით“მისი იომი“: „გარკვეულწილადასეა, მაგრამეგეცმწერლობისხარისხზეადამოკიდებული, იმაზე, რამდენადღრმადშეცურავსმკითხველიგემითშენინაწარმოებისზღვაშიდარამდენადდაივიწყ ებს, რომკაპიტანიშენხარ. რაცუფრომეტთავისუფლებასმიანიჭებ, რაცუფროჩართავთავგადასავალში, რაცუფრომეტიგანსხვავებული, არაერთგვაროვანიგმირითგარემოიცავ, მითუფრონაკლებადეცლებაშენთვის. ამისთვისკისაჭიროა, რომყველასიტუაცია, ყველაგმირიმარტოშენითვალსაწიერიდანარშექმნა. უნდაიმრავალფეროვნო, უნდაგარდაისახო, ყოველმოსახვევშიარუნდააესვეტომკითხველსდაარუნდაშეახსენო: “ჰეი, არდაგავიწყდეს, კაპიტანიმევარ! ჩემიდაწერილიაეს!” ავტორმაუნდამისცესმკითხველსთავდავიწყებისდამისიგავლენისგანგათავისუფლებისშესა ძლებლობა. ჩემთვისასეა“[ქევანიშვილი,2013: 1].

თამრი ფხაკაძის მოთხრობამ -„ბოსტანი კოფლიქტის ზონაში“, რომელიც აგვისტოს ომზეა დაწერილი, დიდი წარმატება მოუტანა ავტორს, შესაბამისად, ყველაზე უფრო მეტად ამ ნაწარმოების შესახებ გამოხატული ყურადღების, მოსაზრებებისა და რეცენზიების მოძიებაა შესაძლებელი, ამასთანავე, არსებობს საინტერესო კვლევებიც.

მკვლევარ გიორგი ხორბალაძის წიგნში- ,,რაკურსი“, გამოქვეყნებულია ნარკვევი ,,ადამიანური განცდები ომისა და ოკუპაციის პირობებში (ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ერთიან კონტექსტში გააზრებით)“. აღნიშნულ ნარკვევში მსჯელობა და კვლევა ეფუძნება ორი ქართველი თანამედროვე ავტორის-გიორგი სოსიაშვილისა და

თამრი ფხაკაძის შემოქმედებას; მკვლევარი დადებით შეფასებას აძლევს ორივე მწერალს და მოთხრობაზე - ,,ბოსტანიკონფლიქტის ზონაში“ დაყრდნობით, გამოთქვამს მოსაზრებას: „საინტერესოა, რომ თამრი ფხაკაძის მიერ დახატული სიუჟეტი, პერსონაჟთა სამეტყველო ენა, თუ მოვლენათა განვითარების არეალი, ზედმიწევნით, უაღრესად ბუნებრივად გამოხატავს შიდა ქართლის რეგიონის იმ ნაწილის რეალურ სურათს, რომელიც მოთხრობაშია დახატული. ნიჭიერი მწერალი შესანიშნავად ახერხებს სიტუაციის ზუსტ ასახვას და იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ნაცნობია კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების გარემო, სახელის დაუსახელებლად ჩნდება გარკვეული ასოციაციები და, ჩვენი ვარაუდით, აღწერილი სურათი გორის რაიონის სოფელ ზემო ნიქოზის ფარგლებში უნდა იგულისხმებოდეს“[ხორბალაძე,2018:142].დასახელებულ ნარკვევში ყურადღება გამახვილებულია ადამიანების უცნაურ უნარზე, სულიერიტრანსფორმაცია-სუბლიმაცია განიცადონ სწორედ მაშინ, როდესაც ამას სულაც არაფერი მოასწავებს და მეტიც, იმდენად რთულია მათი ყოფა, რომ გაბოროტება და სულის გაუხეშება იქნებ უფრო იყოს მოსალოდნელი, მაგრამ განხილულ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე და მათ შორის თამრი ფხაკაძის დასახელებულ მოთხრობაზე დაყრდნობით, ნარკვევის ავტორი საყურადღებოდ ასახავს ამ მეტად არაორდინალურ და საინტერესო მოვლენას.

თამრი ფხკაძის იმავე მოთხრობის- „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ თაობაზე წერს ნატალია სვანიძე საკუთარი სადისერტაციო ნაშრომში - „პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტურ პროზაში“, ერთ-ერთ თავში: ,,თანამედროვემოთხრობათაკრებულში 21-ესაუკუნისმოთხრობა, ,,დამაფიქრებელალტერნატიულრეალობასქმნის თამრიფხაკაძისმოთხრობა „ბოსტანიკონფლიქტისზონაში“. ხშირად, ნაწარმოებშიასახულივითარებამკაცრადკომიკურია, მაგრამდაზარალებულებისგულწრფელიტკივილიდაკარგულიბუნებრივიყოფისგამომწერა ლიქალისიუმორისუდიდესიგრძნობითკომპენსირდება. მოთხრობაშიმარკირებულიათანამედროვექართლელისოპტიმისტურიმსოფლაღქმა, მოულოდნელობებისადმიმისისაოცარიმდგრადობა.ვაზის, როგორც „წმინდაკულტურის“

შერყვნა „ერთმორწმუნეევანდალისაგან“ ასაჩინოებს, ერთიმხრივ, ქართულ-რუსულიერთმორწმუნეობისმითისდასასრულს, მეორემხრივ, ახალიიდენტობისსუბალტერნისმოტივაციას, კიდევუფრორადიკალურადგაემიჯნოს „წმინდას“ შემრყვნელ, რეფლექსურდონეზემოსულდგმულენეანდერტალელს, რომლისსახესაცაღნიშნულნაწარმოებშირუსიჯარისკაცებიწარმოადგენენ“.[სვანიძე,2017:152]. მკვლევრის აზრით, თამრი ფხაკაძის ნარატივში „ბოსტანი“ სამშობლოს, „ჩემის“ „სხვისაგან“ გარჩევისარასტერეოტიპულიმარკერია, რომელიცმწერალმაქართულლიტერატურაშირუსეთ-საქართველოსომისშემდგომიპერიოდისქართულიიდენტობისგანსასაზღვრადშემოიტანა. „ბოსტანი“ თითქოსისალტერნატიულიიდენტობაა, რომელიცპოსტკოლონიურსუბიექტსსაბჭოურიინდუსტრიალიზაციისმიერთავსმოხვეული ქარიზმისაგანათავისუფლებსდამიწათმოქმედიწინაპრებისგზასაჯაჭვავს, როგორცყველაზებუნებრივ/ადეკვატურგარემოსახალიიდენტობისშესაქმნელად.

თამრი ფხაკაძეს შემოქმედებაშიც და, ზოგადად, თანამედროვე ქართულ პროზასა თუ რომანისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რომანს CV, რომელსაც ეძღვნება ბელა ჩეკურიშვილის სტატია სათაურით ,,CV“, ანუ თამრი ფხაკაძის „სივთა ვარამი“. სტატიის ავტორის აზრით, რომანის აბრევიატურა-სივიცხოვრების გზის „მნიშვნელობას სცდება და შეგვიძლია წავიკითხოთ როგორც „სოციალური ვარამი“ ვინაიდან ერთი მწერალი ქალის ცხოვრების ფონზე 21-ე საუკუნის საქართველოს სოციალური ვარამი იხატება. ბელა ჩეკურიშვილის თვლის, რომ: ,,რომანის წაკითხვა სხვადასხვა განწყობით შეიძლება „როგორც ნეორალისტური საკითხავი, ან ფანტასმაგორია, რომანტიზმის ელემენტებით, ან და სულაც აბსურდი. ხოლო როცა კითხვას მორჩებით, ისეთი შეგრძნება გექნებათ, თითქოს აღმართ-დაღმართებზე იარეთ ფეხით, რადგან ამდენი ძლიერი და სუსტი ამბავი და ეპიზოდი ერთად არც ერთ წიგნში არ გექნებათ ნანახი“[ჩეკურიშვილი,2010:42]... სტატიაში ბელა ჩეკურიშვილი აბრევიატურისაგან შექმნილ რომანის სათაურს CV, დაბეჯითებით აძლევს განსხვავებულ განმარტებას და თვლის, რომ რომანის შინაარსის გათვალისწინებით ბევრად უფრო ადეკვატური განმარტება იქნებოდა „**ს**ამშობლოს **ვ**არამი“. საბოლოოდ კი

ასკვნის: ,,არ მინდა ვთქვა ,რომ რომანი პოლიტიზირებულია,უბრალოდ, მისი გმირი სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ქართველია და, რადგან სიზმარში ყველაფერი მოსულა, ხოლო ჩვენი ეპოქის ქართველთა ოცნება კი ძილშიც და ღვიძლშიც აფხაზეთის დაბრუნება და საქართველოს გაბრწყინებაა, ამ იდეის მიმართ ვერც ავტორი დარჩება გულგრილი...“[ჩეკურიშვილი, 2010: 42].

სამწუხაროდ ამ რამდენიმე სტატიის გარდა, მხოლოდ მოკლე ე.წ. პოსტების ხასიათის მოსაზრებების, ავტორის წიგნებზე წამძღვარებული რეცენზიების მოძიებაა შესაძლებელი, არადა თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში საკვლევი რომ მართლაც ბევრია, ეს უდაო ფაქტს წარმოადგენს. ამდენად, როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, შევეცდებით ჩვენს სამაგისტრო ნაშრომში გამოვკვეთოთ ძირითადი ტენდენციები და, შესაბამისად, თამრი ფხაკაძის შემოქმედების კვლევის სამომავლო პერსპექტივებიც.

თავი II. ქართულ-რუსულიკონფლიქტისგამოძახილი

§.1.ოთხმოცდაათიანიწლებითდაღდასმულითაობა

თამრი ფხაკაძე საკუთარ შემოქმედებაში არაერთი ნაწარმოებით უტრიალებს ქართულ-რუსული კონფლიქტის თემას; ბუნებრივია, რომ მსგავსი მასშტაბების კონფლიქტი, რომელიც ასეთ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და, არა მხოლოდ, მუდმივად გვამყოფებს ცივი ომის პირობებში,არამედ, არაერთგზის, ომის მწვავე ესკალაციაშიც გადაიზარდა, აუცილებლად გახდებოდა ერთ-ერთი ასახვის საგანი თანამედროვე მწერლობაში, რამდენადაც, ომის ბოროტება თავისთავად ბევრ დეტალს მოიცავს და ბევრ ფიგურანტს აერთიანებს, დამნაშავეებითა და უდანაშაულო მსხვერპლით, დამგეგმავებითა და შემსრულებლებით, გადარჩენითა და სიკვდილით.

თამრი ფხაკაძისთვისაც, როგორც ჩანს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ომის, როგორც მოვლენის სიღრმეებში ძიება და იქ გზააბნეული ადამიანების სულიერი სამყაროს თავისებურებების აღმოჩენა, სწორედ ამიტომ მწერალი ომისა და ომის შემდგომი მოვლენების თემას არაერთ ნაწარმოებში ეხება. ჩვენ, თამრი ფხაკაძესთან ასახული ქართულ-რუსული კონფლიქტი ორ პარაგრაფში გავანაწილეთ. ამ თავის პირველ ნაწილში, ჯერ დავძებნით, როგორ არის ასახული 90-იანი წლების გავლენა თამრი ფხაკაძის პერსონაჟებზე, რამდენადაც, თამრი ფხაკაძე თავადაც იმთაობას განეკუთვნება, ვინც ეს პერიოდი საკუთარი გზით გაიარა და კარგად უწყის თაობაზე შერჩენილი გავლენის მნიშვნელობის არსი.

მეორე ნაწილში, უშუალოდ ვიმსჯელებთ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის ომების ლიტერატურულ რეფლექსიაზე თამრი ფხაკაძის ნაწარმოებებში, რაც ასევე ძალიან საინტერესოდ აქვს ასახული მწერალს და ამ ნაწილში ჩვენ შეგვეძლება თვალი მივადევნოთ არა მხოლოდ 90-იანი წლების მწვავე სიუჟეტების აღდგენას ადამიანური ტრაგედიების

ფონზე, არამედ საშუალება გვექნება გავაანალიზოთ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მხატვრული გარდასახვაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია როგორც ლიტერატურის კვლევის, ისე ისტორიული ანალიზის თვალსაზრისითაც.

ფაქტია, რომ 90-იანი წლები იყო განსაკუთრებით მძიმე მონაკვეთი საქართველოს ისტორიაში; თაობა, რომელმაც ეს პერიოდი საკუთარ თავზე გადაიტანა, თითქოს დარჩა მუდმივად ტრამვირებული და ,,მიესაჯა“ სხვა და სხვაგვარად გამოხატვა ამ რთული გამოცდილებისა, რომელიც ზოგისთვის კომპლექსებში ვლინდება, ზოგისთვის სამყაროს აღქმაში, ზოგჯერ ადამიანებთან ურთიერთობასა თუ ურთიერთობის უუნარობაში; ხან შიშში ვლინდება და ხანაც გადაჭარბებულ უშიშრობაში. თამრი ფხაკაძეც ამ თაობის ნაწილია და, შესაბამისად, საკუთარი გამოცდილებით უწყის ბევრი რამ, სწორედ ამიტომ არიან მისი გმირების განცდები უკიდურესად დამაჯერებელი და ნამდვილი, იმის მიუხედავად, რომ მისი პერსონაჟთა გალერეა საოცრად მრავალფეროვანია; სრულიად განსხვავებული გმირები ხშირად ახმოვანებენ ავტორისეულ სულისკვეთებას. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ყველაზე დამაჯერებელი განცდა, შეიძლება სულაც ფანტასმაგორიული ელემენტების შემცველი ამბის პირმშო აღმოჩნდეს. მაგალითად, მოთხრობა ,,ვნებანი“.აქ, ავტორი, ერთი შეხედვით მწერალი ქალის სულიერ სამყაროს გვიხატავს, მწერლის ლაბორატორიას გვათვალიერებინებს და გვიჩვენებს, როგორ ძალუძს მწერალს გარდასახვა და საკუთარი პერსონაჟის ტკივილიან შეგრძნებათა გათავისება მაშინაც კი, თუ პერსონაჟი სულაც კავკასიური ნაგაზია. უბრალო გადაკითხვით, ამ ამბავშისულაც არავინ ახსენებს 90-იან წლებს ან მის გავლენას მომდევნო ეპოქასა თუ კონკრეტულ ადამიანებზე, მაგრამყურადღებით წავიკითხავთ და მივხვდებით, რომ ეს მოთხრობა სწორედ აფხაზეთის ტკივილით არის დაწერილი და სწორედ 90-იანი წლებიდან გამოყოლილი სულიერი დაღი უხილავად ფათურობს მის პერსონაჟებში. მთავარი გმირი, რომელიც დამწყები მწერალია, ერთგან ასე აღწერს წერის პროცესს: ,,ჩანთიდან ვიღებ პატარა სანთელს. უდენობის ჟამისას აკიდებული ნევროზის ნაშიერს. სანთელს, რომელსაც ყოველთვის და ყველგან თან დავატარებ. რომელიც ლონდონშიც კი წავიღე უშუქობის შიშით. მეტროში გაჭედვის შიშით. ლიფტში გაჭედვის შიშით“[ფხაკაძე,2011: 205]. ამ მცირე პასაჟში ბევრი რამ არის

ნათქვამი ჩვენი კვლევისთვის საინტერესო, რადგან სანთელი, რომელსაც გმირი ყველგან თან ატარებს, ჩვენი აზრით, სიმბოლურად სწორედ განსხეულებული სულიერი გავლენაა 90-იანი წლებისა.ასევე, სრულიად მოულოდნელად, მოთხრობაში ,,თითქმის დაბრუნება“ განხორციელდება, მთავარი გმირი შეყვარებულთან ერთად პლაჟზე ნებივრობს და ამ სიტუაციაში მძაფრი პატრიოტული სულისკვეთების, აფხაზეთის ნოსტალგიის შემოტანა რადიკალური და თითქმის წარმოუდგენელი ნაბიჯია მწერლის მხრიდან, მაგრამ თამრი ფხაკაძე ამას უდიდესი ოსტატობით აკეთებს და განსხვავებულად,სასიყვარულო თავგადასავალში ჩაქარგულ სამშობლოს და მისი ისტორიის ტრაგიზმს გვიხატავს. სადმე, უკაცურ პლაჟზე, შეყვარებულთან ერთად რომანტიული გაქცევისა და ნებივრობის ოცნებაზე საუბარი, უეცრად, ტრანსფორმირდება ამდაგვარ დიალოგად: ,,- გინდა, ძალიან ახლოს მივიდეთ იქამდე? - თავს ოდნავ აქნევს მარჯვნივ.

-სადამდე... ერთბაშად ვსერიოზულდები. თვალებში ვუყურებ. ვხვდები, გულში რა უდევს.

- იქამდე... თითქმის დავბრუნდეთ, არ გინდა?

მინდა“ [ფხაკაძე,2011: 220];

და მიდიან შეძლებისდაგვარად ბოლომდე ნინო და ბაქარი, იქამდე, ვიდრე არ იგრძნობენ აფხაზეთის სუნს, აფხაზეთის ზღვას და ზეცას. ბაქარისთვის ეს სუნი დამწვრის სუნია, რომელსაც მძაფრად გრძნობს, ნინოსთვის კი ზღვის ეს ნაპირი დროებით მიტოვებული სატრფოა, რომელსაც კიდევ ერთხელ, გულწრფელი ემოციებით სიყვარულში უნდა გამოუტყდეს: ,,ჩემო ლამაზო... ჩემო... ჩემო საყვარელო... ...ცოტაც მოითმინე... მალე მოვალ... სულ მალე. სულით არასდროს წავსულვარ... ერთი წამით... ერთი წამით არ დამიტოვებიხარ...“ [ფხაკაძე,2011: 221]. ლოცვა-ღაღადისივით იკითხება ეს სტრიქონები, სადაც სიტყვა - ჩემოს -ყველაზე მთავარი აქცენტირების მისია აკისრია, თითქოს ნინო აფხაზეთს კი არ მიმართავდეს, სრულიად სამყაროს ჯიუტად უმტკიცებდეს, რომ სწორედ მისია, საქართველოს ეს ულამაზესი მხარე. თამრი ფხაკაძის გმირებს დაბრუნების სჯერათ და ამ რწმენით განაწყობენ მკითხველსაც. ბაქარიც ხომ, ამ ,,თითქმის დაბრუნების“

შემდგომ როდესაც ნინოს ეტყვის უკან წავიდეთო, სასწრაფოდ დასძენს ჯერ-ო, და სწორედ ეს მცირე ნიუანსია ბაქარისა და ნინოს შეურყეველი რწმენის ძალის დემონსტრირება.

თამრი ფხაკაძემ იცის, რომ სამშობლოზე წერა ძალიან რთულია, შესაბამისად, სამშობლოს ტკივილზე წერაც, ალბათ, კიდევ უფრო რთული, აკი ასე მოძღვრავს დამწყებ მწერალ ნინოს, უკვე გამოცდილი მწერალი ანკა (,,ვნებანი"): ,,ძნელია, ნინ, წერა სამშობლოსა და დედაშვილობაზე. ამ ორთან ფრთხილად, ოდნავ აგიცდება? ბუჰ! - ბეწვის ხიდიდან სიყალბის მდინარეში. ამ ორთან ძალიან ფრთხილად, რა!"[ფხაკაძე,2011: 178], მაგრამ მწერალი მაინც სულ სამშობლოს და მის ტკივილებს უტრიალებს მთელს შემოქმედებაში. ხანდახან იქიდანაც კი შეგვახსენებს აფხაზეთს, საიდანაც სულაც არ ელოდები. კავკასიური ნაგაზის - ლომას მოგონებებში მწერალი შემოგაპარებს: ,,ზღვის პირას ჩვენი სისხლი და ხორცი მხარეა ერთი... ეს მზე დაუბნელეს, ჩაუძირეს ჩაუხრჩვეს..." [ფხაკაძე,2011: 223]. ლომამ ეს არ იცის რას ნიშნავს, მაგრამ მისმა პატრონმა იცოდა და ლომასაც გაახსენდა, უფრო სწორად, ავტორმა იცოდა იმდენად კარგად, რომ ლომას ოსტატურად გაახსენებინა პატრონი და პატრონს აფხაზეთი. გაახსენებინა იმიტომ, რომ თავად არც არასდროს დავიწყებია...

მოთხრობაში ,,მუდმივი კავშირი", აჩიკო მშობლების ნებიერად გაიზრდილი ბიჭია, მისთვის არაფერი მოუკლიათ, მას არავინ აძალებდა ომში წასვლას, მაგრამ თავისი ნებასურვილით წავიდა სამშობლოს დასაცავად. ომის მკაცრმა რეალობამ კი მასზე და მის ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა.პერსონაჟი თავის თავში ჩაიკეტაიმდენად, რომ არავისთან სურს საუბარი.ეს აჩიკოზე დასმული დაღია, რომელიც სხვას სხვა რამეში გამოაჩნდება, თავისი გავლენის გარეშე კი მაინც არავის დატოვებს.

მოთხრობის სათაურსაც ხომ სწორედ ეს სიმბოლური დატვირთვა აქვს - „მუდმივი კავშირი". კავშირი რთულ, ომითა და არეულობით გაჯერებულ წლებთან დამყარებული კავშირი, გადაკვეთა ამ წლების ცხოვრებასთან, დანაკარგთან, მუდმივია და უწყვეტი. ნაწარმოების ბოლოს სულის ჩამწვდომი სიტყვებით ასრულებს ავტორი; შეიძლება ყველას ეს სიტყვები ჩვეულებრივი პეიზაჟის აღწერად მოეჩვენოს, მაგრამ, ვფიქრობთ, სხვა რამ

უფრო ჩანს ამ სურათის აღწერაში: „სანაპიროზე თანაბარი ოხვრით ერწყმოდა ერთურთს წყალი და ხმელი.. და ზემოდან წვიმის მბრწყინავი წვეთები,როგორც მარიამ ღვთიმშობლის ცრემლი,ნაზი ნაღველივით ეპკურებოდა ორთავეს ... თითქოს...შენთან ვარ, შენთან ვარ...“ [ფხაკაძე,2003: 181]. ამ სიტყვებით ავტორი ამბობს, რომ აფხაზეთი ჩვენი მიწაა, ისიც ჩვენი ნაწილია და, როგორც სანაპიროზეა განუყოფელი ,,წყალი და ხმელი“, ისეთივე განუყოფელია აფხაზეთი საქართველოსაგან; რომ წვიმის მბრწყინავი წვეთი, სიხარულის ცრემლის სიმბოლოა რომელიც აუცილებლად იქნება, რადგან დედაღვთისა ჩვენს ქვეყანას, აფხაზეთიანად და სამაჩაბლოიანად მფარველობს.

თამრი ფხაკაძის რომანში „CV“ ასახულია მწერალი ქალის ცხოვრება,სადაც რეალური და არარელური სამყარო ენაცვლება ერთმანეთს. რომანი მოიცავს თანამედროვე საქართველოს ისტორულ-პოლიტიკურ მომენტებს:ომი, ომის შემდგომი პერიოდი, რევულუცია, 90-იანი წლების სიდუხჭირე,გამარჯვება, მარცხი,სიკვდილი, სიყვარული, სიმარტოვე.

პერსონაჟები ამ რომანში ხშირად გამოხატავენ თავად ავტორს. საგულისხმოა ისიც, რომ მთავარი გმირი ასევე მწერალი ქალია. ქვემოთ მოყვანილ ციტატაში კი კვლავ, ერთი ადამიანის სულიერი ტრაგედიის ფონზე, მკვეთრად იძერწება ომგამოვლილი საქართველოს რთული ყოფიერება:„ერთადერთი ოცნება ჰქონდა და არ ეღირსა იმის ახდენა მეთქი. და რა ისეთი ხარბი ოცნება ეგ იყო მეთქი?!წერითა თავისითა უნდოდა მოეპოვებინა პური თავისი-მეთქი!მაგრამ,რაკი ეს ჯერ შეუძლებელია,არაწერითი სამსახურით პურის შოვნაზეც ყაბულს გახდა-მეთქი.ოღონდაც კი ეწერა და სამსახურების არჩევანშიც აღარ შედიოდა მეთქი.სამსახური უნდოდა და წერა.სამსახურიც ისეთი,რომ გადასახადებზე და ლუკმა-პურზე აღარ ედარდა და მშვიდად ეწერა, მეტი არაფერი!“ [ფხაკაძე,2009: 54]. აქ თამრი ფხაკაძე ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟის საშუალებით გადმოსცემსარა მარტო მწერლების ყოფასა და დუხჭირ ცხოვრებას, არამედ, ზოგადად, რთული პერიოდით შექმნილ უპერსპექტივობას, რაც ყველაზე უფრო დიდი გამოწვევაა, ძველი სირთულეების დაძლევის გზაზე.

ამავე განხილვის კონტექსტში მეტად საინტერესოა მოთხრობაა - „სანამ დაგვიძახებენ“, სადაც ასევე 90-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკური მოვლენებია საინტერესოდ წარმოჩენილი. წარმოუდგენელია, რომ მკითხველს შეუმჩნეველი დარჩეს თამრი ფხაკაძის გმირების სულიერება,მწერლის მიერ შინაგანი სამყაროს ჭვრეტისნიჭი,სხვისთვის ჩვეულებრივი რელობის ორიგინალური ხედვა და თავისებური აღქმა. მოთხრობის მთავარი გმირი გიორგი ობოლაძეა,რომელმაც არაერთი უსამართლობა, პირადი ტრაგედია განიცადა და მაინც შეძლო შეენარჩუნებინა სულიერი სისუფთავე.მისი ცხოვრების გზის ტრაგიზმი მისი დაბადებიდანვე იღებს სათავეს, როდესაც მასზე მშობიარობას დედა გადაჰყვება, მამაც გარდაეცვლება და ახალშობილი მოხუცი პაპის ამარა რჩება. უცნაური კი ის არის, რომმთავარ გმირს ტრაგიზმი ბედისწერასავით მთელი ცხოვრება გაჰყვა, მან შემდგომშიცბევრი მეგობარი და ახლობელი დაკარგა და, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია მისთვის, აფხაზეთი დატოვა; ეს კი ყველაზე დიდი ტრაგიზმია მის ცხოვრებაში და მას უნდა, რომ ამოთქვას ტკივილი დამარცხებული კაცისა, რომელიც, როგორც თავად გამოხატავს, ისე ტანჯავს, რომ კლავს. ეს ტანჯვის განცდა ლოგიკურია და ბუნებრივი, მაგრამ ამ საკითხსაც სხვანაირად, ღრმა ფილოსოფიურ ჭრილში დაგვანახებს ავტორი გიორგისა და გრიშა ძიას დიალოგში, რომელიც, პრინციპში, მწერლის სულიერი მონოლოგია სინამდვილეში.

გიორგი მეზობელს - ძია გრიშას უზიარებს საკუთარი დიდი ტკივილის მიზეზს და ისე ეუბნება, თითქოს შესაშური ჰქონდეს რამე, რადგან გრიშა გამარჯვებული შევიდა ბერლინში, ხოლო გიორგი დამარცხებული წამოვიდა სოხუმიდან. ამის საპასუხოდ, იწყება სწორედ ძია გრიშას, უბრალო კაცის, თავისებური ფილოსოფიის დემონსტრირება, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თამრი ფხაკაძისეული აღქმაა სამყაროსი, ომის ფილოსოფიის, გამარჯვებისა და დამარცხების არსის, სიკეთისა და ბოროტის, სიცოცხლის უწყვეტობის შესახებ:

„რატომ გგონია, ბიჭო, შენ... რომ... რომ... მეც არ წამოვედი შენთან ერთად სოხუმიდან?! ა?! რატომ გგონია, რომ შენ გვერდით არ ვიყავი? რახან აქ დავჩინდრიკობ, იმიტომ?!

...ანდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, რატომ გგონია, რომ შენც არ შეხვედი ბერლინში ჩემთან ერთად გამარჯვებული? შენ გგონია, ასე შევკინკილდი და სულელივით მიხაროდა? შენ კი არა, შენი შვილიც... შენი შვილიშვილიც ჩემთან ერთად იყო... ერთ კაცს სად წააცლიან თავს გიორგი, ბევრს არაფერს ნიშნავს. ის ერთი კაცი შთამომავლობაზე ფიქრობს...იმისთვის იბრძვის,მარტო თავისთვის კი არა!მე და შენ რამ გაგვყო,ბიჭო!შენი და ჩემი გამარჯვება,ცალ-ცალკე რას მიქვია! ან შენი და ჩემი დამარცხება!...

...ახლა რას გეტყვი, თუ იცი. ჩემი დამარცხება მკლავსო....რომ თქვი...ჩვენი - ესე იგი...კი არ გკლავს-გაცოცხლებს! დამიჯერე. იცი, რატომ გაცოცხლებს? რომ გკლავს, იმიტომ! სანამ გკლავს, მანამდე გაცოცხლებს... ფეხებზე რომ გეკიდოს - სიკვდილი ის იქნებოდა” [ფხაკაძე,2011: 123]. ასე თამრი ფხაკაძის პერსონაჟს შეუძლია იფიქროს და გამოხატოს, მარტივად, გასაგებად, უბრალოდ, მაგრამ ღრმად ფილოსოფიურად და შთამბეჭდავად. აქედან გამომდინარე კი, ალბათ, ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ, მიუხედავად მძიმე ისტორიული მემკვიდრეობისა, მიუხედავად სულიერი დაღისა, რომელიც მასობრივი ეპიდემიასავით დაგვიტოვა 90-იანმა წლებმა, რადგან ის რეალობა გამოვიარეთ, აუცილებელია ამ დაღსაც ვატარებდეთ, რომელიც წარსულის მწარე გამოცდილებიდან ბევრ გაკვეთილს მიგვაღებინებს და, რაც ყველაზე მთავარია, არ მოგვცემს უფლებას ამ ტრამვამ ამაოდ ჩაიაროს და დასაბრუნებლის დაბრუნებამდე სულიერი შვება ვპოვოთ.

ზოგადად, მოთხრობა დასაწყისიდანვე იძლევა მინიშნებებს, რომ მისი გმირები რთული ეპოქის შვილები იქნებიან, რთული სულიერი ტრამვებით, რაც პირველად მაშინ გაიელვებს, როცა სოფლიდან ქალაქში დაბრუნებული გიო მეგობრების მოკითხვას აპირებს და ასეთი ფიქრები ეუფლება: ,,ავდგები ახლა და ბიჭებთან გადავრეკ-გადმოვრეკავ. თუმცა, ვისთან? ზოგი შტატებშია, ზოგი - შტატგარეშე... ევროპა-აზიაში... ზოგი საერთოდაც

აღარაა... აღარ არიან ბიჭები, რა“ [ფხაკაძე,2011: 100]. ასეთი მოკლე და ტრაგიკული ასახვა ეპოქისა ნამდვილად ძნელად არის წარმოსადგენი. ერთ მომცრო აბზაცში ნაჩვენებია, რთულ წარსულ გამოვლილი ქვეყნის სახე, უმუშევრობით, უპერსპექტივობით და სულაც დაკარგული თაობით. საზღვარგარეთ ყოფნის მიზეზს ავტორი არ განმარტავს, მაგრამ იგი ოსტატურად, ორაზროვანი დატვირთვით იყენებს სიტყვას- ,,შტატგარეშე“ და ასე ლაკონურად ჰფენს ნათელს იმ რეალობას, რომ ტურისტულ ვიზიტებში სულაც არ იმყოფებიან გიოს მეგობრები, ისინი უსამსახურობის, ,,შტატის“ არ არსებობის გამო გარბიან... ამ პასაჟიდან ორი გვერდის შემდგომკი, არსებული სიტუაციის კონტურებს კიდევ უფრო გამოკვეთს ავტორი და მთავარ გმირს გაახსენებინებს იმ რეალობას, რომლის ნაყოფიც წინა დამოწმებული აბზაცია: ,,ის დრო იყო, მოკლედ - ამაზე ბევრად დუხჭირი. პური - არა, ტრანსპორტი -არა, შუქი - არა, გაზი -არა, ეს -არა, ის -არა... სროლა. რეკეტი. და შიგადაშიგ პატარა ,,ჭირში ლხინები“, იმ ბაბუით არაბის არ იყოს. ჰოდა, ერთი პატარა სუფრაა სადღაც. ვასიკო და მე ვართ პატარა წრეში. ახალგაზრდები არიან სულ. ახალგაზრდობაჩამწარებულები“[ფხაკაძე,2011: 102]. ამრიგად, გიოს ამ მოგონებაში თამრი ფხაკაძე, ერთი ხელის მოსმით, ასახავს 90-იანი წლების სირთულის მთელ არსს და, შემდგომშიც, უკვე გაზრდილ-დავაჟკაცებული ეს ყოფილი ,,ახალგაზრდობაჩამწარებული“ ახალგაზრდები ჰქმნიან მოთხრობის პერსონაჟთა გალერეას, რომელთაც აუცილებლად ემჩნევათ ამ ყოფილობის დიდი კვალი.

ამავე მოთხრობას ჰყავს ასევე მეტად საინტერესო პერსონაჟი მოგონებებიდან, გიორგის მეგობარი ჯიმი, რომელიც გიორგისთან ერთად იყო ტყვედ ჩავარდნილი და გიორგის თვალწინვე მოკლა მტერმა.მას შემდეგ კი, რაც გიორგის ტყვეობიდან გაქცევის შესაძლებლობა მიეცემა და დაუდგება დილემა - რა უყოს მეგობრის ნეშტს, ეს მძაფრი განცდა აიძულებს მთავარ გმირსაცსაკუთარი ფილოსოფიით აღიქვას ყოველივე. იგი ჯერ ემშვიდობება გარდაცვლილ მეგობარს სიტყვებით - ,,მშვიდობით ჯიმი“ და ეს დამშვიდობების მომენტია სწორედ მისი აღქმის ტრანსფორმაციის მუხტი. ამიტომ მყისვე ცვლის დამშვიდობების სიტყვებს და აგრძელებს:,, თუმცა, არა... წავედით, ჯიმი... ჩქარა, ძმაო... ჩქარა! დავახვიოთ აქედან ...“ [ფხაკაძე,2011: 134] და გიორგის მას შემდგომ სწამს,

რომ ჯიმი მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრია, სულ მასთანაა და, როგორც თავად გვეუბნება, ,,ჩემთან ერთად იბზრიალებს ამ მირაჟულ სამყაროში და ჩემთან ერთად ჩაქრება ჩემთვის. ...იმიტომ, რომ მე ჯიმისთან ერთად მოვკვდი, ჯიმი კი ჩემთან ერთად ცოცხლობს“ [ფხაკაძე,2011: 137]. ასე დაანახვა სიკვდილ-სიცოცხლის რთული ფილოსოფია მეგობრის სიკვდილმა; აფხაზეთის ომმა, გიორგის და ჯიმისთან ერთად, მასაც მუდმივი კავშირი დაუტოვა ომთან და ომით გამოწვეულ რთულ ცხოვრებისეულ პერიპეტიებთან, ჯიმის აჩრდილი თუ არსებობა გიორგის ცნობიერში, კი სწორედ ამ უწყვეტობის, ამ წარუშლელობის სიმბოლოც არის, ჩვენი აზრით.

გავლენა და კვალი კი ადამიანებთან ერთად, გარემოსაც გადმოჰყვა, ამიტომ ეცოდება გიოს დედაქალაქი, რომელიც, ამ შემთხვევაში, მთელს ქვეყანასაც გამოხატავს სიმბოლურად, რადგან დადაქალაქის ავტოსადგურში ეუფლება ფიქრები, დედაქალაქის ავტოსადგური კი ის ადგილია რომელიც ყველა მხარეს აკავშირებს ერთმანეთთან და,მაშასადამე, გიორგის ფიქრებიც, სიმბოლურად მთელს საქართველოს მოიცავს: ,,არაა ბატონო ლონდონის დიდუბის ავტოსადგური ეს! თბილისისაა! ჩემი ბებერი, ჩემი ნატანჯი თბილისის... ...ჩემი აწეწილი, გაბურძგნული, პირდაუბანელი თბილისია ეს... წუხანდელი გამოუძინებელი, ღამენათევი... შეეშვით, ძმაო!“ [ფხაკაძე,2011: 164]. აქაც, ისევ ბოლო ისტორიული მოვლენების კვალს ხედავს გმირი, რომელიც ქვეყანას დასტყობია და აქაც, ყველაზე შთამბეჭდავად და აქცენტირებულად, ჩვენ სწორედ ეს ,,შეეშვით, ძმაო“ - ჩაგვესმის, რომელიც გვჯერა, რომ ავტორმა კიდევ უფრო ღრმა ჩანაფიქრით ათქმევინა პერსონაჟს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს.

მნიშვნელოვანი პერსონაჟია ასევეგიორგის მეგობარი მამუკა, რომელიც ენას უკიდებს. ამის მიზეზი კი აფხაზეთის ომია, რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთი სიმბოლური მინიშნებაა დატოვებულ ტრამვებსა და გავლენებზე, რომელიც ვის შემთხვევაში შესამჩნევი და ვისთვის შეუმჩნეველი შეიძლება იყოს, მაგრამ მეტყველების დეფექტი, ამ შემთხვევაში, სრულიად ზოგადი აღქმის საგანია ჩვენი აზრითდა ზოგადად, ომებისა და მისი თანმდევი მოვლენებისაგან თაობაში დატოვებულტრამვებზე მიგვანიშნებს.მამუკას სწამს, რომ

აფხაზეთის დავიბრუნებთ განიკურნება: “აფხაზეთსრომ დავიბრუნებთ,ესეც,ისევ სტრესზე-გამივლისო.და სულ ელოდება, რომ დაუძახებენ:წამო,მამუკ,დავიბრუნოთო... სულ მაგას ელოდება“[ფხაკაძე,2011: 102].

მოთხრობაში ასახულიგმირის სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვხვდებით, თუ რამხელა კვალი დაუტოვა მას აფხაზეთი ომმა, ხოლო შემდეგ რთულმა ომისშემდგომმა წლებმა, მას მოუწია მეგობრის წამებისთვის ეცქირა, მისი მოკვლისთვის ეყურებინა დაბმულსა და დატუსაღებულს, თუმცა, არც ეგ აკმარეს და მოკლული მეგობრის ნეშტთან ერთად გამოჰკეტეს...ავტორი ამ ერთ მონაკვეთში გვაჩვენებს როგორი აგრესორი დგას ჩვენს პირისპირ-ცივსისხლიანი და უმოწყალო ადამიანის მიმართ, როგორ შეუძლია ადამიანისსიცოცხლით თამაში და ნათლად მივხვდებით, თუ რატომ იყო ასეთი მძიმე 90-იანი წლების მოვლენები ქართველი ხალიხისთვის და რატომ დატოვა ადამიანებზე წარუშლელი კვალი. თუმცა ამ დატოვებულ კვალს, მწერალი სხვა კუთხითაც გაგვააზრებინებს და სათაურითვე - “სანამდაგვიძახებენ” მიგვანიშნებს, რომ,რადგან ეს დატოვილი კვალი სულს ასე გვიდაღავს, ერთ მშვენიერ დღეს უთუოდ დაგვიძახებენ.

ჩვენი ქვეყნის სვე-ბედთან დაკავშირებით, გეოპოლიტიკური კონტექსტითა და გააზრებით, თამრი ფხაკაძის პოზიცია ძალიან ორიგინალურად არის ასახული მოთხრობაში „ვიზიტი ექიმთან“ . მოთხრობაში გმირის განცდებთ იხატება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის სირთულე, ჩვენს პატარა ქვეყანაში ერთმანეთს ეჯახება ორი გიგანტი ძალის ინტერესები. ორივე მხარეს ,,ფასია გადასახდელი“- ერთი მხარე მშვიდობას და კარგ ცხოვრებას გვპირდება, მეორე კი აგრესორია, თავისი სიძლიერით და იარაღის მუქარით, ცდილობს დაისაკუთროს ჩვენი ტერიოტორიები და მიუხედავად იმისა, რომ მიზნის მიღწევის საშუალებები დიდად განსხვავებულია თვითეულთან, მათი მიზანი ძალიან ჰგავს ერთმანეთს - ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დათმობა მათ სასარგებლოდ.

ეს ყოველივე კი, მოთხრობაში, მთავარი პერსონაჟის -ქართლოსის კოშმარული სიზმრებით გახმიანდება. მას იმდენად აწუხებს საკუთარი სიზმრები (თუ ქვეცნობიერი),

რომ მიდის ფსიქიატრთან სამკურნალოდ, სადაც ასე ჰყვება პაციენტი ქართლოსი საკუთარ სიზმარს:

„-ჰოდა, მინდა, რომ წავიდე პირდაპირ.

– არც მარჯვნივ, არც მარცხნივ!

– საქმეც ეგაა, ექიმო, არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, პირდაპირ მინდა წასვლა, სულ პირდაპირ.

– აჰა, აჰა. და რა გიშლის ხელს?

-აქ ქართლოსი შეფერხდა, ექიმი კი გაფაციცდა და შესძახა:

– თამამად, თამამად, ძამია!

– ორნი არიან. – თქვა ქართლოსმა.

– აჰა?

– ერთი მარცხნივაა, მეორე მარჯვნივ.

– და რაო, რა გვინდაო?

– მარცხენა მეუბნება, მარცხნივ წამოდი და გაგამდიდრებო.

- კაი ერთი–თქო! და მარჯვენა?

– მარჯვენა მეუბნება, მარჯვნივ წამოდი, თორემ გესვრიდა გაგათავებო!“ [ფხაკაძე,2014: 2]. ვფიქრობთ, არც კი საჭიროებს ქართლოსის სიზმარი დამატებით გაშიფვრას, იმდენად არის ყველაფერი აშკარა და ნათელი, ბუნებრივია, ეს სიზმარი მწერლის კოშმარი უფროა, რომელიც რეალურად, თამრი ფხაკაძეს აწუხებს, გულს უღრღნის და მოსვენებას არ აძლევს.

მწერალი, როგორც ირკვევა, საკუთარი პოზიციით, წინააღმდეგია რადიკალური გადაყოლისა ვინმეს ან რაიმეს მიმართ, და თვლის, რომ არც ფუფუნება უნდა იყოს

სატყუარა სამშობლოს ფასეულობების დასათმობად და არც ძალმომრეობას უნდა დავუშინდეთ, უნდა შევძლოთ და როგორმე მოვახერხოთ ის, რასაც დიდი ილია ჩიოდა, მგზავრის

წერილებში:,,ადრიდაავადთუკარგადჩვენჩვენითავნიჩვენადვეგვეყუდნეს“[ჭავჭავაძე, 2004: 82]. ერთ მხარეს დოვლათისა და ხორციელი სიამოვნების გამოხატულებაა აღწერილი ქართლოსის სიზმარში და ხვდები, რომ ეს სიმბოლური ამერიკაა, რომლისგანაც ის უნდა მივიღოთ, მხოლოდ, რაც ჩვენს ღირებულებებთან არის თანხვედრაში და არა იმდენი რამ მივიღოთ, რომ საკუთარი თავი დავკარგოთ: „ მინდორია უხნავი. ჰექტრობით ვერ ვიტყვი ახლა...და უცებ პატარა ტაროსავით წამოყოფს რაღაცა თავს მიწიდან. წამოყოფს და იზრდება. სიმინდისტაროა. როგორ ვთქვა, აღარც კი ვიცი... იზრდება, იზრდება, მსხვილდება, ჯერ ერთსართულიანი სახლისტოლაა, მერე ორსართულიანის,მერე სამიანის... და არის ბაჯაღლო ოქროსფერი! ლაპლაპებს, ლაპლაპებს, თვალს ჭრის, გამოდის რია–რია, ქალების სიცილი, კისკისი, რაღაცნაირ მუსიკას აწუილებენ, აღმუვლებენ“[ფხაკაძე,2014: 2].

მეორე მხარეს კი გზაზე დაგდებულ ჩექმას ხედავს ქართლოსი, რომელიც უეცრად იზდება და არ აძლევს მას გზის გარძელების საშუალებას, იარაღით ცდილობს დაემუქროს და დააშინოს, რათა არ გაგრძელოს გზა. ეს, რა თქმა უნდა, აგრესორი რუსეთი გახლავთ, რომელთანაც სწორედ ჩექმა ასოცირდება ხოლმე, რამდენადაც მისი ნატერფალი გათელვის სინონიმია, სამწუხაროდ, და სხვა არაფრის.

მოთხრობის გმირის სახელიც სიმბოლურია, მას ქართლოსი შემთხვევით არ ჰქვია და იგიც, მისი სამშობლოსავით, პატარაა და ჩაგვრისთვის შეწირული საკუთარ კოშმარში, თუმცა, ქართლოსი ბოლომდე აცნობიერებს, რომ უნდა მოძებნოს ბრძოლის გზები წართმეულის დასაბრუნებლად, თუ ვერწართმეულის დასაცავად.

მწერლის მთვარი გულისტკივილი კი სწორედ ის არის, რომ პრობლემის სათანადო გააზრება აკლია საზოგადოებას, პრიორიტეტების განსაზღვრა გვიჭირს და შეგვიძლია სულ სხვა რამ გვადარდებდეს მაშინ, როცა მთავარი სადარდებელი არც გვახსენდება: „გარეთ,

მორაკუნე გაკვირტულ ტოტზე ჩიტი შემოსკუპებულადა ცნობისმოყვარედ იმზირება აქ, შიგნით. იმან რა იცის, აქაურობა რა სევდა–დარდების ბუდეა... იმან რა იცის, აქ რა ნუგეშის ბარტყები იჩეკება ხოლმე, ან რა იმედის კვერცხები ლაყდება... ან ვინ რას სტვენს, ან ვინ რას ჭიკჭიკებს...ვინ რას ჩხავის, ვინ რას გალობს...ფრრრრ! – და აიჭრა ცაში...ვინ იცის, ხომ? – იქნებ გუგული იყო და გადაიფრინა...“[ფხაკაძე,2014: 2] ჩვენი აზრით, სწორედ ამას უნდა ჩიოდეს მწერალი ამ ალეგორიულ მსჯელობაში და გვაფრთხილებდეს, რომ ხელიდან არ გავუშვათ მომავლის განვითარების პერსპექტივა და ჩვენი ინფანტილურობით იმედი არ გავაქარწყლოთ. იქნებ მკაცრიც არის მწერალი, როდესაც ასეთი კრიტიკულია, მაგრამ მწერლის ვალდებულებაც ხომ ის არის, რომ მოზარე იყოს და დროულად ჩამორეკოს განგაშის ზარები, როდესაც ამის საჭიროებას ხედავს. ჯობს მწერალი იყოს მკაცრი შემფასებელი, ვიდრე ცხოვრებამ გვიჩვენოს გაკვეთილი, ამიტომ არის მწერლობაში მისაღები ჰიპერბოლიზებაც და უტრირებაც, თუმცა უტრირებულია კი მწერლის წუხილი? კარგი იქნებოდა ასე იყოს.

საინტერესო კი ის არის, კიდევ, ჩვენი აზრით, რომ ეს წუხილიც 90-იანი წლებიდან გამოყოლილი მძიმე მემკვიდრეობაა, შიში მომავლისა, რას ვიზამთ ჩვენ და რას იზამენ ჩვენი შემდგომი თაობები, მაგრამ თამრი ფხაკაძის გმირის არ იყოს, რადგან ეს წუხილი ასე შეგვსისხლხორცებია, ამაში მომავლის რწმენაც უნდა ვეძიოთ.

90-იანი წლების მძიმე მემკვიდრეობის შედეგებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ,,ვიმკით“ და ამ შედეგების სრულ განეიტრალებას, ალბათ, კიდევ დასჭირდება ათეული წლები, რადგან ასეთი რამ მალე არ გადაივლის, სწორედ ამას ამბობს თამრი ფხაკაძეც გიოს პერსონაჟის ენით: ,,ჩემს თავის ქალაში თითქოს შემოჭრილი, მოძალადე სტუმარივით სამუდამოდ დაედო ბინა ჭურვების სკდომის, ბენზინის ბაკების ფეთქების, ტყვიების ზუზუნის ხმას... ამ ხმაურს თავს ვერანაირად ვაღწევდი. ეს ხმაური ვერც კაფე-ბარების მათრობელა მელოდიებმა გამოაძევა, ვერც ქალების ვნებიანმა ჩურჩულმა, ვერც ტელევიზორის ეკრანიდან დაპირებულმა დაპირებებმა... ვერაფერმა“ [ფხაკაძე,2011: 113].ამიტომ არის, რომ ამ დაღმა ლიტერატურული ასახვის კალაპოტშიც შემოიტანა ერთი

შენაკადი და, ვფიქრობთ, თამრი ფხაკაძის მოთხრობების მაგალითზე შევძელით გვეჩვენებინა, რომ ლიტერატურაში, კვლევის თვალსაზრისით, პრობლემა მეტად საინტერესო და ინფორმატიულია.

§.2.სამაჩაბლოსადააფხაზეთისომებისლიტერატურულრეფლექსია

წინა პარაგრაფში ჩვენი კვლევის მიზანს, ძირითადად, ქართულ-რუსული კონფლიქტის შემადგენელი ომებისა და მოვლენების კვლევა წარმოადგენდა მეხსიერებაში კონტექსტში, ანუ არა თანამედროვე სურათის ასახვა, არამედ ის, თუ როგორ ჩანდა წარსულის აჩრდილი თანამედროვეობაში. ამ პარაგრაფში კი პირიქით, ჩვენ შევეცდებით იმ მოვლენების ლიტერატურული რეფლექსია აღმოვაჩინოთ, რომლებმაც ეს გავლენები დაგვიტოვა. კერძოდ, ჩვენი ძირითადი ინტერესის საგანია, უშუალოდ ომის მოვლენების სურათები თამრი ფხაკაძესთან.როგორც გიორგი ხორბალაძე აღნიშნავს ნარკვევში - მავთულხლართი - ახალი პრობლემა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში**:** ,,ეპოქები და მნიშვნელოვანი მოვლენები, ხშირ შემთხვევაში, განსაზღვრავენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ძირითად თემატიკას, რომელიც შემდეგ მწერალთა შემოქმედებაში ამათუ იმ ფორმით წარმმართველ ადგილს იკავებს და მდიდარი მასალით ასაზრდოებს ლიტერატურულ პროცესს“ [ხორბალაძე, 2018: 119]. ომი კი ის თემაა, რომელიც ლიტერატურაში აუცილებლად გარდაისახება ხოლმე, ადრე თუ გვიან; ამაში მარტივი გადამოწმების პრინციპიც დაგვარწმუნებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ურთულესია (თუ შეუძლებელიც კი არა) გაიხსენო რომელიმე სამომარი მოვლენა, მსოფლიო ისტორიის მასშტაბით, რომელზეც ლიტერატურული ტექსტი არ არსებობდეს: ,,ეპოქას მოაქვს თავისი რიტმი, თავისი ინერცია. მწერალმა უნდა იგრძნოს ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული.მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე, მაგრამ,თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ზის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის”[ფანჯიკიძე, 1986: 517.]. თამრი ფხაკაძე კი სწორედ ეპოქის რიტმს და ეპოქის ინერციაშიც ზის საკუთარი ინდივიდუაალური მწერლური თვისებებით

და, რა გასაკვირია, რომ მის შემოქმედებაში გადაინაცვლა მისი ქვეყნის ეპოქალურმა კონფლიქტმა გიგანტ სახელმწიფოსთან. თუმცა, როგორც თამრი ფხაკაძის გმირი ამბობს, სამშობლოზე და, შესაბამისად (ჩვენი ინტერპრეტაციით), სამშობლოს სატკივარზე, მის ომზე წერა ძალიან რთულია, აქვე კვლავ მკვლევარ გიორგი ხორბალაძის მოსაზრებას და შეფასებებს დავიმოწმებთ, რომელსაც იგი 2008 წლის აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით აკეთებს, თუმცა, ჩვენი აზრით, შეფასება ომის თემის ლიტერატურაში გადმოტანას ყველა შემთხვევისას მიესადაგება: ,,ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურაში, გარდამტეხი ძალით შემოიჭრა აგვისტოს ომის ტკივილიანი თემატიკა და თითქმის ყველა თანამედროვე მწერალი,ცოტა თუ ბევრად, შეეცადა, ამ ტკივილს შეხებოდა. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უჩვეულო არაფერი დაგვინახავს, პირიქით, სრულიად გასაგებია, რომ ვერც მკითხველის და, მით უმეტეს, ვერც მწერლის ემოციური ბუნება თავის თავში ვერ დაიტევს ისეთ ძლიერ განცდას, რომელიც ასეთი მასშტაბის ტრაგედიის შემდგომ სრულიად გასაგები მოვლენაა. შესაბამისად, ომის თემა მწერლისთვისაც და მკითხველისთვისაცფიქრისა და განსჯის საგანია, ძირითადი ხაზი ნოველისა თუ მოთხრობისთვის თითქოს მზაა, მაგრამ, ისევ თემატიკიდან გამომდინარე, მწერლისთვის საფრთხილო და სარისკოც არის ომთან შემოქმედებითი მიახლოება, ვინაიდან, არსებობს საშიშროება, რომ ერთსა და იმავე მოცემულობაში მრავალი შემოქმედის ტრიალი, უბრალოდ, ერთი ამბავის მრავალჯერ მოყოლას დაემსგავსოს, რაც ლიტერატურას მაინცადამაინც არ უხდება“[ხორბალაძე, 2018: 120].ვეთანხმებით დამოწმებულ შეფასებას და ჩვენც ვფიქრობთ, რომ, ამ თემაზე შექმნილი უამრავი ნაწარმოებიდან, მხოლოდ გამორჩეულად ნიჭიერ ავტორებს ძალუძთ, ღირებულის შეთავაზება, თამრი ფხაკაძე კი უდაოდ არის გამორჩეულად ნიჭიერი და ერთ-ერთი საუკეთესო თანამედროვე ავტორი, რომელთანაც, როგორც აღვნიშნეთ, ,,ომის ტკივილიანი თემატიკა“ ძალიან საინტერესოდ, დამაჯერებლად და შთამბეჭდავად არის აღწერილი.სოსო სიგუა, სტატიაში ,,ომი და ლიტერატურა”, წერს: ,,თუ გერმანული მწერლობა ომის აგრესიას უმღეროდა, ქართველს თავდაცვა და თავის დახსნა, დაკარგულის მოპოვება აინტერესებდა“[სიგუა, 2014: 70]. სწორედ ეს ფაქტორია მნიშვნელოვანი თამრი ფხაკაძესთან, რამდენადაც ყველგან ჩანს, რომ

იგი აგრესიის პროპაგანდისტი კი არ არის, ომისაგან მძიმე ყოფაში ჩაყენებული ადამიანებისგანცდები ეფიქრება და ედარდებაყველაზე უფრო.

მიუხედავად იმისა, რომ თამრი ფხაკაძის ნაწარმოებებში არ არის რთულად მოსაძიებელი ომის სურათები, ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველ ყოვლისა უნდა განვიხილოთ მწერლის ვრცელი მოთხრობა ,,ბოსტანი კონფლიქტის ზონაში". როგორც თავად წერს ავტორი მოთხრობის ანოტაციაში, მოთხრობა მას 2004 წელსდაუწერიაიმსახით, რომლითაცარაერთხელდაიბეჭდადაპოპულარობაცმოიპოვა, მაგრამ 2008 წლისაგვისტოსომის შემდეგიგითითქოსდაუსრულებელიეჩვენა,ამიტომ, თხრობაგააგრძელა და შედეგად„ახლაიგიუფრომეტისიმძაფრითადატკივილითააშევსებული, თუმცაშევეცადეარცისიმედიდამეკლო, რომელიცნებისმიერჩვენთაგანშიცოცხლობს"[ფხაკაძე,2011: 260].

სიუჟეტი მოგვითხრობს ორი ძმის ამბავს, რომლებიც კონფლიქტის ზონის მკვიდრნი არიან და ქალაქში ქირით ცხოვრობენ რუს ბაბულიკასთან ერთად. ზალიკო და რობიზონი მკვეთრად განსხვავებული ძმები არიან,ზალიკო ქალქში დარჩენას და იქ ცხოვრების მოწყობას ცდილობს,რობიზონი კი სოფელში აპირებს დაბრუნებას და მამა-პაპეულ სახლში ცხოვრების გაგრძელებას.ზალიკო, ძმასთან შეუთანხმებლად,სოფელში სახლს გაყიდის, რობიზონი კი რჩება მამა-პაპეული სახლის გარეშე.სოფელი კონფლიქტური ზონის მომიჯნავეა, იწყება საშიშროება ამ მიწის დაკარგვისაც. სწორედ ამ დროს იღვიძებს რობიზონში სურვილი- დაიცვას თავისი მამა-პაპეული მიწა და ვინაიდან სახლ-კარი აღარ გააჩნია, მის ნაცვლად ბოსტანს გააშენებს. მოთხრობის პათოსი კი ისეთია, რომ გაგრძნობინოს, რობიზონი რატომ ეჯაჭვება კიდევ უფრო მძაფრად ომში გახვეულ საკუთარ სოფელს. იმიტომ, რომ ყველა გაქცევას არჩევს, ფაქტია- ძალა, რომელიც მტერს აქვს, ერთი ასად სჭარბობს დამხვდურისას, ამ დროს კი სიგიჟემდე მისული პატრიოტიზმია სწორედ საჭირო; განა ასეთ წარმოუდგენელ ძალებს არ უხვდებოდნენ ჩვენი წინაპრებიც? და, თითქოს, რობიზონსაც ეს ბოსტანი ალიბად სჭირდება, იმის ალიბად, რომ გიჟი სულაც არ არის, როდესაც სრულიად უთანასწორო ბრძოლაში ებმევა, მას ხომ ბოსტანი აქვს

დასაცავი, მაგრამ საინტერესოა ვისთვის უნდა მას ამგვარი ალიბი, აი ეს არის აქ მთავარი კითხვა, ბუნებრივია მარტოოდენ საკუთარი თავისთვის, რომ შიში, რომელიც ყველა ადამიანში და, ბუნებრივია, რობიზონშიც არსებობს, გადალახოს და დასძლიოს. ამიტომ ეს ყველაფერი მიზეზია და საკუთარი თავის წაქეზება იმისკენ, რომ რობიზონმა უფრო გაბედულად დაიცვას თავისი ბოსტანი, რადგან გმირისთვის, ეს ბოსტანი სამშობლოს ხატია, რომელსაც ერთგან ასე მიმართავს:,,რა ხარ ეგეთი საცალო, ეგეთი სულ მუდამ დასაცვი, ეგეთი საშაროდ ტკბილი და მადლიანი!...რა ხარ ეგეთი სულ ზედ შესაკვდომი, შე დალოცვილო "[ფხაკაძე,2011: 287].

ასე გადაიქცა უბრალო, ერთი შეხედვით არაფრით გამოეჩეული, რობინზონი გმირად, თუმცა საინტერესოა, რომ გმირებს ხშირად სწორედ გარემოებები გამოავლენენ, ხოლო მანამდე ჩვენ მათ შესაძლოა წლები ვერ ვამჩნევდეთ. ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს გიორგი ხორბალაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ: „ტრაგედიას, რომელსაც მოაქვს ტანჯვა-წამება, უბედურება, სიკვდილი და, ამავდროულად, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, ზოგჯერ პიროვნული ტრანსფორმაცია-სუბლიმაცია და სულიერი ამაღლებაერთი შეხედვით, მსჯელობა უდავოდ შეიცავს პარადოქსულ ნიშნებს, თუმცა, ფაქტია, რომ, უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ამ ფენომენს უნდა ,,უმადლოდეს" ნებისმიერი ერი, რომელსაც ომში რიგითი მოკვდავი უკვდავ გმირად გადაექცა"[ხორბალაძე,2018: 137]. ზუსტად ასე გარდაქმნა ომმა რობიზონი და ჩამოაყალიბა გმირად, რომელიც რუსი ჯარისკაცების არცერთ ტყვიას არ უშინდება და ბოლო ამოსუნთქვამდე მედგრად დგას თავისი ქვეყნის სადარაჯოზე.

ჩვენი აზრით, მოთხრობაში შემთხვევითი არ არის რუსი ბაბულიკას პერსონაჟი, რომელთანაც ძმები ცხოვრობდნენ ქირით და რამდენადაც, მოთხრობაში ჩანსრუსიქალისდედობრივი მზრუნველობაქართველბიჭებზე, ვთვლით, რომ ეს არის მწერლისეული მინიშნება იმაზე, რომ ეროვნული შუღლი, მხოლოდ ეროვნული ნიშნით მოძულებაა, არავისი არაფერი არ გვმართებს, მიუხედავად ამხელა აგრესიისა, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ისევე, როგორც არ შეიძლება ჰიტლერის ქმედებებისთვის გერმანელი ერის დადანაშაულება. ასევესიმბოლური დატვირთვა აქვს, იმასაც, რომ რობიზონას

მამაპაპური სახლი ოსმა ოლეგამ იყიდა, ამითაც მწერალი ხაზს ეთნიკურ თანასწორობასუსვამს. აჩვენებს, რომ გარე მტრის ჩარევა რომ არა, თანაცხოვრების პრობლემა არ უდგას ქართველებს და ოსებს, არამედ პირიქით, ორივე მსხვერპლს წარმოადგენს სხვა და სხვა კონტექსტში. ასევე სიმბოლური დატვირთვა აქვს კაკლის ხეს, რომელიც რობიზონისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანს და ფასეულს წარმოადგენდა, ვიდრე უბრალოდ კაკლის ხე, რადგან მთავარი გმირიკაკლის ხეში საკუთარ ფესვებს, საკუთარი წინაპრის განსხეულებას ხედავს, ამიტომ რობიზონს ეს ხე თავის საგვარეულო განძად წარმოუდგენია, სახლის დაკარგვას შეელია, მაგრამ იმას ვერ ეგუება, რომ ოლეგამ კაკლის ხე მოჭრა.

მოთხრობაში ასახულია სოფლად მცხოვრები ადამიანების პატრიოტული სულისკვეთება,რაც, პრინციპში, დიდწილად რეალისტური სურათია, რადგან, როგორც ცნობილია, უამრავმა ადამიანმა არ დატოვა სახლ-კარი, დარჩა ცეცხლის წვიმასა და ბომბებში სიცოცხლის რისკის ფასად და ზოგი სასწაულებრივად გადარჩა, ზოგმა კი ვერც გამოაღწია, საბოლოოდ. სწორედ ეს სულისკვეთება ჩანს მოთხრობაშიც:„მაგას ვერავინ ეღირსება ვერც რუსი,ვერც ფრანგი და ვერც ინაპლანეტიანები...დასაცველი გახდება რამეი? დავიცავთ ბოლომდინ! ...შევაკვდებით,რობიზონ და დავიცავთ მაინც“[ფხაკაძე,2011: 270], ასე განსჯიან მოთხრობის, ე.წ. საზღვრისპირა სოფლის მცხოვრები პერსონაჟები.

ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ რობიზონის და ზალიკოს სახითავტორმა მოთხრობაში გამოკვეთა საზოგადოების ორსახოვნობა, რადგან, ლიტერატურასა და ცხოვრებაში არიან როგორც გმირები, ისე ანტიგმირები. ზალიკოს, რობიზონისგან განსხვავებით, არაფრად ადარდებს -არც ფესვები, არც მამა-პაპეულ ნაფუძარი და სამშობლოც დიდად არ აღელვებს.პარადოქსია, მაგრამ ერთ ოჯახში გაზრდილი ორი ვაჟიდან, ერთისთვის სამშობლოა უპირველეს ყოვლისა, მეორე კი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზეფიქრობს და მარტო მატერიალური მხარე აღელვებს. ამ დროს კი, მისი ძმა მზად არის უარი თქვას ყველანაირ კომფორტზე, მიატოვოს თავის საყვარელი საქმე და დაუბრუნდეს თავის მამა-პაპეულ მიწას. მისთვის მამაპაპური მიწის გარეშე ყოფნა ტრაგედიაა, თავს უფესვებო ხესავით გრძნობს: ,,ვარ უფესვებო ხესავით.როდის დამკრავს ნიავი და როდის

წავიქცევი,არ ვიცი...აბა,რაღა გამამაგრებს ამ წუთისოფელში...ბაბულიას ბინა?არაფერი გეტკინოთ,ჩემი ფესვები ეგ არ იყოს და მაგან არ დამიჭიროს.ვიღაც ვარ-მეთქი,ვფიქრობ, ვიღაც?“[ფხაკაძე, 2011: 269]. -აი ასეთი დიამეტრალურია სხვაობა ძმებს შორისაც კი, რაც სწორედ იმიტომ აჩვენა ავტორმა, რომ მკითხველმა შეძლოს საკუთარ თავში ორივე საწყისის - კეთილისა და ბოროტის, ორივე მისწრაფების - მატერიალური და სულიერი ფასეულობისმოძიება და სწორი არჩევანის გაკეთება.

აქვე, გვინდა, მცირე პარალელი გავავლოთ მიხეილ ჯავახიშვილის რომან „ჯაყოს ხიზნებთან“, ამ პარალელის გაკეთების ბიძგი კი, უპირველესად იმან მოგვცა, რომ თეიმურაზის სახლ-კარს ოსი ჯაყო ჩაიგდებს ხელთ, ხოლო თამრი ფხაკაძის მოთხრობაში რობიზონის სახლ-კარს ასევე ოსი ოლეგა ყიდულობს.

საინტერესოა,რომ „ჯაყოსხიზნები“ მიხეილჯავახიშვილსაცთავისიქვეყნისუმძიმესმაკრიზისმადააწერინა. იგიასახავსმე-20 ს-ის 20-30-იანწლებშიშექმნილსაზოგადოებრივ-კულტურულმდგომარეობასდა, ამავედროს, მსჯავრიცგამოაქვსასახულიმოვლენებისადმი.ასევე ძნელბედობის ჟამს დაწერა თამრი ფხაკაძემაც თავისი მოთხრობა და ორივე ნაწარმოები ერის გამოფხიზლების სურვილს ემსახურება.

თეიმურაზიც და რობიზონიც, როგორც უკვე ვთქვით, რჩებიან მამა-პაპეული სახლის გარეშე, ორივეს თავის მამულს მოტყუებით აკარგვინებენ და ორივე ხიზნობაში აღიქვამს, თუ რა ღრმად ჰქონია გადგმული ფესვები საკუთარ მიწაში. მათ სანატრელი უხდებათ ის, რაც ჩვეულებრივი უბრალოება ეგონათ, ანუ, საკუთარი ჭერი, საკუთარი სოფელიდა რჩებიან ტკივილიანი განცდით, რომ მათ საკუთრებას სხვა დაეპატრონა.

თეიმურაზს და რობიზონს ძვირად დაუჯდათ სოფლის დროებითი მიტოვება და ქალაქში გადაცხოვრება, მათ თითქოს საკუთარ სახლ-კარს აწყენინეს და მოიმდურეს; მთავარი გმირები პიროვნული თვისებებით რადიკალურად განსხვავებულები არიან და სწორედ ის აქვს რობიზონს, რაც თეიმურაზს არ აქვს, ამიტომ ამ პარალელის კონტექსტით, მიგვაჩნია, რომ თამრი ფხაკაძემ შემოგვთავაზა ძველი პრობლემის ერთგვარი ახლებური გააზრება. თუ თეიმურაზი რჩება უუნაროდ და გაურკვეველი მხრიდან მოელის შველას,

რობიზონი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ცარიელი ადგილიდან იწყებს ახალ ცხოვრებას. თეიმურაზს არ გააჩნია უნარი დაიცვას თავისი კუთვნილება, თუნდაც საკუთარი სისხლის ფასად, სამაგიეროდ, მოთხრობის - „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“ მათავარი გმირი, ამ მხრივ, პირდაპირ სამაგალითოა.

ასევე საინტერესოა, ჩვენი კვლევისთვის, თამრი ფხაკაძის რომანი,,CV”, სადაც, ასეთ ტექსტს ვკითხულობთ: „-ლიახვი წითლად მოდიოდა სისხლივით. შენი არ იყოს, თავი დავიწყნარე, ჩამავალ მზეს როგორ გაუწითლებია - მეთქი, გავიფქრე. სოფელში ორშარას ავუყევი. პირველივე ჭიშკართან გავჩერდი და მასპინძელო-მეთქი, დავიძახე. გამოვიდა მასპინძელი. მიქელ -გაბრიელი -ცელით.

რა გინდა? მკითხა. მე, არაფერი ანდაზები მინდა ექსპედიციის წევრი ვარ, აქ ბევრჯელ ვყოფილვარ.ზედა უბანშიც. გაღმაც. აქ ხომ... მასპინძელი სადაა?

მაშ ანდაზა გინდა არა ?-მკითხა უშნო ქირქილით.

ახლა დავინახე შეღებული ჭიშკრიდან, რომ ეზო კუბოებითაა სავსე, სახლი კი აღარსადაა. ნანგრევად ქცეულა ..

- წინ სიკვდილი, უკან სიკვდილი, მარჯვნივ სიკვდილი, მარცხნივაც სიკვდილი! აჰა შენი ანდაზა! ხა ხა ხა!-საზარლად იცინის მიქელ-გაბრიელი, ცელი ავტომატად ექცევა ხელში. მახლის. მთელ ჯერს ჩემზე ცლის. მერე მკვდარს მაჯიდან სათს მხსნის, ყელიდან ძეწკვს მგლეჯს, ფეხზე ბოტასს მხდის, ყველაფერს შავი მანტიის კალთაში იყრის და მიდის. წამით უკან ბრუნდება, თითებში შეყინულ საწერ კალამს მაცლის და მტოვებს.

მერე ჩემი სული ხორცს გაეყარა და ზევით ავფრინდი. ზემოდან ყველაფერი კარგად ჩანდა! ზემოდან დავინახე, რომ ხაკისფერი გველი ხლართებად შემოხვეოდა სოფელებს და შხამი ნიაღვრებად დიოდა მკლავებიდან და თავი ჩაემალა შიგ“[ფხაკაძე,2009: 224].

რთულია ციტირების გაწყვეტა, რადგან შთამბეჭდავი ალეგორიული თხრობა ომის ამაზრზენობისა, კიდევ უფრო საშინელია, როცა, მტერი უზნეო და უღირებულოა. მისი მთავარი ფასეულობა მატერიალურია, ამიტომ ისეთი უსინდისოა მთელი თავისი შეგნებით, რომელსაც შეუძლია მკვდარი გაძარცვოს, გაძარცვოს ისე, რომ უბრალო საწერ კალამიც არ შეარჩინოს, რომლის დანიშნულებისამებრ გამოყენება არც კი შეუძლია. ამ

პასაჟში, მიქელ-გაბრიელი ოკუპანტის კრებითი სახეა და, პრინციპში, ზედგამოჭრილი. ხაკისფერი გველი კი, რომელიც შემოვლებულია სოფლებს, რუსეთის მიერ გაბმული მართულხლართების სახე-სიმბოლოა, ჩვენი აზრით.

საბოლოოდ კი, სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვების სჯერა თამრი ფხაკაძეს, ,,სიკვდილითა სიკვდილისა დათრგუნვა“ სწამს და დარწმუნებულია, რომ სამშობლოსთვის თვდადებული გმირები ყველაზე უფრო ცოცხლები არიან და ნამდვილები: „ბოლოს შორს სოფელი გავარჩიე. საუკუნო მარადიული ნათელში ჩაძირული, ...ჯარისკაცული დაფოთლილი სამოსი ეცვათ და კუშტად პირნათელი სახები ჰქონდათ. ეს იყო - ზეციური ქართული ბატალიონი“[ფხაკაძე,2009: 230]. ამ ერთ მოანკვეთში მწერალი გვიხატავს შინდისის უკვდავ გმირებს და მათ მიერ სიკვდილით მოპოვებულ მარადიულ სიცოცხლეს ეფერება. მწერალს სჯერა, რომ ბიჭები უმიზეზოდ არ შეეწირნენ ამ ომს და რომ, ამ ყველაფერს მომავალი თაობა გაიგებს, დააფასებს და გაგრძელებს. ამის დასამტკიცებლად აკი გაიხსენებს კიდეც: “კიდევაც დაიზრდებიან ლეკვები მგლისანი“[ფხაკაძე,2009: 232].

მოთხრობის, ,,სანამ დაგვიძახებენ“, ერთ ნაწილში, აფხაზეთის ომის ეპიზოდს აღწერს მწერალი, პერსონაჟის ენით გვიყვება რა ტყვედ ჩავარდნილი ჯიმის და გიოს თავგადასავალს: ,,საღამოსკენ ცეცხლი დაანთეს. ჭამეს. დალიეს. დათვრნენ. ახორხოცდნენ. ორი ფარდულისკენ წაფრატუნდა. კარი წიხლით შემოაღეს.

...ღრიჭოდან ვხედავდი, როგორ ურტყეს. მერე დააყენეს და ოთხმა კაცმა ამოიღო მიზანში....უმიზნეს და უმიზნეს ჯიმის. უმიზნეს და უმიზნეს... მერე ატეხეს სიცილ-ხარხარი და ტყვიები აქეთ-იქიდან უზუზუნეს“[ფხაკაძე,2011: 139]. ნათელია, გარდა მონათხრობის შემაძრწუნებლობისა კიდევ რისი თქმა უნდა მწერალს. შეუძლებელია ამდაგვარ ბრბოს, ვისაც მხოლოდ სტომაქი ადარდებს, სადიზმი ართობს და კაცის კვლა თამაშად ეჩვენება, ჭეშმარიტი ღირებულებები გააჩნდეს. მსგავსი დაჯგუფება ვერ იქნება ერისა და სახელმწიფოს ნაწილი და ვერც სახელმწიფოს ინტერესებთან ექნება რაიმე საერთო მის ინტერესებს, ეს არის სიბნელეში გამომწყვდეული და მტაცებლურ-ცხოველური ინსტიქტით დარაზმული ბრბო, რომელიც ხელოვნურად, ერთგვარი ლაბორატორიული წესით გამოზარდა ოკუპანტმა საქართველოს წინააღმდეგ,

სინამდვილეში კი ისინი საკუთარ ეროვნულ თვითმყოფადობასაც კლავენ, ისე, რომ ვერც კი აცნობიერებენ.

თავი III. რეალისტურიპროზა

§.1. პერსონაჟებშიგამოხატულიავტორი

წინა თავში ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ თამრი ფხაკაძე შეგვიძლია ვეძიოთ საკუთარ პერსონაჟებში და მწერლის მსოფლაღქმა საკმაოდ მკვეთარად შეიცნობა მისავე ნაწარმოებებში, თუმცა ამ ყველაფერს ავტორი ხელის გულზე არ გვიდებს, პირიქით, იგი მეტად ოსტატურად არის ამოფარებული გმირებსა და პერსონაჟებს და საკუთარ ნააზრევს ისე გვიზიარებს, რომ წამით ვერ დაუშვებ თუ იმ კონკრეტული პერსონაჟის გარდა, ვისაც ასაუბრებს ავტორი, სხვასაც შეეძლო ასე ემსჯელა, თუნდაც თვით ავტორს, რომელიც თავად ახერხებს დაგაჯეროს, რომ ამ ფიქრის უკან პერსონაჟის მეტი არავინაა. ამავდროულად, თამრი ფხაკაძის თხრობის მანერის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი უხეშად არასდროს არ შემოდის ნაწარმოებებში მკითხველზე ხელოვნური გავლენის მოსახდენად, პირიქით, ყოველთვის უტოვებს მკითხველს თავისუფალ სივრცეებს ფიქრისა და განსჯისათვის. ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში - ,,ლიტერატურათმცოდნეობისსაფუძვლები", ავტორები ნანა გაფრინდაშვილი და მარიამ მირესაშვილი წერენ: „გონებამახვილურადშენიშნავენხოლმე, რომსტილიისკიარარის, რაცხელოვნებასახასიათებს, არამედსტილითავადარისხელოვნება" [გაფრინდაშვილი, მირესაშვილი, 2008: 174]. გარდა ამისა, ურთულეს ამოცანას წარმოადგენს მოახერხოს მწერალმა ამდენნაირი, რადიკალურად განსხვავებული გარდასახვა, პერსონაჟთა სამეტყველო ენის მრავალგვარობით. თ. ფხაკაძის გმირები ხან ქართლურად მოუქცევენ, ხან იმერულად, ხან დედაქალაქური აქცენტით საუბრობენ, ხან წარჩინებულნი არიან, ხან მდაბიონი, ხან საქმოსანნი და ხან ფილოსოფოსნი, ამ დიდი გალერეის თითოეულ წარმომადგენელთან კი თამრი ფხაკაძე ყოველთვის მაღალ დონეზე ახერხებს დარჩეს უცილობლად, მაგრამ არა თვალში მოსახვედრად.

საკითხზე ჩაღრმავება დავიწყოთ იქიდან, რომ თამრი ფხაკაძის ნაწარმოებებში, მთავარი გმირი არაერთგან არის მწერალი ქალი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ავტორის ე.წ. ,,ალტერ-ეგოა“ ყველგან, ყოველთვის ავტორისაგან განსხვავებულ პერსონადაა დახატული და მხოლოდ მის შინაგან სამყაროში ჩაღრმავება გიჩვენებს ავტორთან დამაკავშირებელ ძაფებს.

ასეა მაგალითად, თამრი ფხაკაძის ვრცელ რომანში ,,CV”, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ საინტერესო და მნიშვნელოვან მოვლენას ეხება და აფასებს, არსებითად არის გაჯერებული ავტორისეული განცდებით, გრძნობებითა და ტკივილით. ესაა წიგნი, რომელშიც, რეალურად, თამრი ფხაკაძე საუბრობს საკუთარ თავზე, საკუთარ განცდებზე და მასში აღწერილი ახალგარზდა მწერალი ქალი მხოლოდ თვითგამოხატვის საშუალებაა. ეს რომანი მისი ოცნებებისა და ტკივილების თავშესაფარია. რა თქმა უნდა, ბევრი ფაქტი შეთხზულია კიდეც, მაგრამ ისინიც რეალისტური გამოხატვის ჩარჩოში მაინც თავსდებიან. პერსონაჟი, ავტორის მსგავსად, ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა და ნაწარმოებში ისეთი მოთხრობებია მოხსენიებული,რომლებიც თამრი ფხაკაძეს ეკუთვნის, რაც რეალისტურობის აღქმას მაქსიმალურად ზრდის.

მწერალი ქალის ცხოვრებას შეეხება მოთხრობაც- ,,ომი თუ მშვიდობა“, სადაც ასევე მეორდება ის განცდა, რომ მთავარი გმირი ერთის მხრივ, რადიკალურად განსხვავდება ავტორისაგან, მაგრამ პერსონაჟის მიღმა მაინც სულ იძებნება ავტორი, თუკი ყურადრებით ჩავუღრმავდებით მოთხრობის მიმდინარეობას. თამრი ფახაკაძისგან განსხვავებით, მისი პერსონაჟი ვერ ახერხებს თვითრეალიზებას და უჭირს თვითდამკვიდრება სამწერლო ასპარეზზე. მას ბევრი წინაღობა აქვს დასაძლევი, უპირველესად კი, ის მენტალური პრობლემა, რომელიც ქალს მოკრძალებული ადგილის დაკავებას უსჯის ცხოვრებაში. ,,მრავალისაუკუნედასჭირდაქალსდაემკვიდრებინათავისადგილიმსოფლიოკულტურაში.მ ასყოველთვისსუსტისქესიწარმომადგენლადთვლიდნენდაფიქრობდნენ,რომქალისშესაძლ ებლობა „სამზარეულოსარსცდებოდა“.

თუმცა ფაქტია, რომ დღეს უკვე ქალებიარიანყველგან - მეცნიერებაში, ხელოვნებაში, განათლებაში. დაისიცუნდაითქვას, რომქალთასაზოგადოებრივასპარეზზეგამოსვლა, ძირითადად, მე-19 საუკუნიდანმოხდა. მასობრივიგამოსვლაიგულისხმება, რისიწინაპირობაციყოევროპისქვეყნებშიმომხდარისოციალურიძვრები.ესმოძრაობამე-19 საუკუნისევროპიდანდაიწყოდადღემდეგრძელდებაშედარებითნაკლებგანვითარებულქვეყ ნებში, მათშორის, ჩვენშიც“[ჯანჯიბუხაშვილი, 2018: 1].

როგორც ჩანს, ეს ტენდენცია მწერლობაშიც შეინიშნება და ამ პრობლემას გამოიტანს სააშკარაოზე თამრი ფხაკაძეც. მოთხრობაში იკითხება, რომ ქალი მწერლების მიმართ ფემინისტურად არის განწყობილი მამაკაცი მწერლების ნაწილი (იმედია არა უმრავლესობა), რადგან თვლიან, რომ ქალები ზომაზე მეტად ლოიალურები არიან რიგი საკითხების მიმართ და არ შეუძლიათ ისეთ მძიმე თემებზე წერა როგორიცა ომი, სიკვდილი და ა .შ. „თქვენ სიძულვილს ვერ ემსახურებით. სიყვარულისთვის ხართ გაჩენილი. თქვენ... მკვდარს უფრო გააცოცხლებთ, ვიდრე ცოცხალს მოკლავთ“[ფხაკაძე,2019: 2]. ეს ფრაზა კონტექსტისა და ალეგორიული გააზრების მიღმა, პრინციპში,მშვენივრად გამოიყურება და ქალის ზოგადად ასე დანახვა სულაც არაა ცუდი, მაგრამ ფრაზას ორმაგი დაშიფვრა გააჩნია და მასში მწერლური შესაძლებლობების შეზღუდულობაც უნდა ვიგულისხმოთ, რომლის გამოც, თითქოს, მწერალ ქალს მძაფრ ემოციებსა და ტრაგედიებზე წერა არ ძალუძს, თუმცა, ეს დამოკიდებულება რომ მცდარზე მცდარია ამის დასასაბუთებლად, ვფიქრობთ, მხოლოდ თამრი ფხაკაძის შემოქმედებაც კი გვეყოფა.

მოთხრობის შესახებ, მწერალი აღნიშნავს ერთ-ერთ სატატიში: „კი, ეს მოთხრობა ლიტერატურაში გენდერული ბალანსის „საჭირბოროტო" თემას მივუძღვენი. თითქმის ყველა ფრაზა სიმბოლური დატვირთვის მქონეა. როცა ჩემი გმირი, ფორნტზე წასვლის ანუ მწერლობაში გადაშვების მსურველი ქალი ამბობს: სროლაც ვიცი, ცხენის ჭენებაც, ცურვაც, ტანკის ტარებაც, დაზვერვაზეც შემიძლია წასვლაო და ა.შ., ვგულისხმობ მწერლურ ტექნოლოგიებს, წერის მთელ სტრატეგია-ტაქტიკას, მოკლედ, წერას.

ამ მოთხრობის წერისას ფრიად აღშფოთებული ვიყავი იმხანად მოსმენილი ერთი რადიო გადაცემით, რომელშიც ქალურ-კაცურ მწერლობაზე იყო საუბარი და რამდენიმე მამრი შემოქმედი იუმორში შეფუთული კატეგორიულობით მოითხოვდა ქალი მწერლების არასერიოზულად აღქმას, მათი შემოქმედების მარგინალიზაციას“ [ფხაკაძე, 2011: 1].

შესაბამისად, შეგვიძლია გავიაზროთ, რომ თამრი ფხაკაძისთვის მწერლობაც სწორედ ერთგვარი ომია, ხოლო ამ შემოქმედებით ომში, თვითეული მწერალი მეომარი, რამდენადაც ჭეშმარიტი მწერალი სწორედ უსამართლობის წინაარმდეგ კალმით აღჭურვილი მეომარია. მოთხრობის ერთ პასაჟში ქალი სთხოვს ჯარისკაცს, რომ გაუშვას ომში საბძოლველად, ხოლო ნაწარმოების ბოლოს ქალი და კაცი იცვამს ერთნაირ ფორმას და მიდიან ომში, რითაც ავტორი გვიკეთებს მინიშნებას, რომ მწერალი ქალი აღწევს გენდერულ თანასწორობას, ცხოვრებისეულ და შემოქმედებით ომში.

ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ მოთხრობის პერსონაჟი მწერალი თვითრეალიზაციისთვის იბრძვის, ხოლო თამრი ფხაკაძე გამორჩეული და ცნობილი თანამედროვე მწერალია, რაც მათ ერთმანეთისაგან დიამეტრალურად განასხვავებს, თუმცა, ყველა შემოქმედს აქვს დრო, როდესაც ის ფეხს იდგამს შემოქმედებითად და, იქნებ, ავტორიც სამწერლო გზის სათავეებთან ყოფნის პერიოდსაც იხსენებს ამ პერსონაჟის ცხოვრების აღწერისას.

მოთხრობაში ,,ვნებანი“ ასევე დამწყები მწერალი ქალი - ნინოა მთავარი გმირი, ის ბევრ ფიქრს, განცდებსა და დამოკიდებულებას უზიარებს მკითხველს და, ჩვენი აზრით, ისიც, დიდწილად, სწორედ მწერლის ,,ალტერ-ეგოა“. საინტერესოა, რომ ნინოს დეიდაშვილი ანკა მწერალია, ოღონდ უფრო გამოცდილი და რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელი, რომელიც ასევე მწერლის პროტოტიპია ოღონდ უფრო ე.წ. დაღვინებული მწერლისა, ხოლო ნინო მისი ახალგაზრდა ნაწილია და, ამდენად, ნინოს და ეკას ერთიანობაში სწორედ თამრი ფხაკაძეს ვხედავთ.

ამ მხრივ გავიხსენოთ პასაჟი მოთხრობიდან, როდესაც ნინო რჩევებს სთხოვს ეკას მწერლობის პრინციპების, სამწერლო ნიუანსების შესახებ:„ძნელია.ადვილი არ გეგონოს...ბოლს მაღლივ უშვებს და ამატებს:-მაგრამ ისე,ადვილიცაააა..ძნელი არ გეგონოს....მისმინე:მთავარია,არ იყოს მოთხრობა

ტკბილი.გამიგე?დამტკბარი,ჩაშაქრული...ანარ იყოსმჟავე ან მლაშე,გადამლაშებული.მწარემოსულა!ოღონდ ნორმის ფარგლებში.ხომ გესმის...ტკბილ-მწარეცმოსულა ოღონდ ერთი-ერთზე.როგორც ყავაში,ან სულაც იცი რა?დააკელი სიტკბო.ნახევარი-ერთზე.მწარე ყავასავით.ააუ რეებს მალაპარაკებ,ნინ,რااა.

-მიდი,მიდი...

-ფერებს ნუ გადაჰყვები:ფერებში ნუ გაიდღლაბნები.რომ იცოდე,შავ-თეთრი ფოტოც უფრო შემძვრელია და შავ-თეთრი კინოც.რა ვიცი.ფერებში მოზომე,მოკლედ,ნუ აჭრელდები თუთუყუშივით.

-ჰო ალბათ ეგრეა.

-ნუ რა-ვის-ტყაოსანი გახდებიგამიგე?ფოლკნერის-ტყაოსანი,მარკესის-ტყაოსანი.იმის,ამის...დოსტოევსკის... შენსტყავში დაეტიე და გგახსოვდეს,-შინაგანად,გენეტიკურად მაინც ვეფხისტყაოსანი ხარ,თუ ტყავზე მიდგა საქმე,აუ რებს მალაპარაკებ,გოგო,رااا!“[ფხაკაძე,2011: 178].ეს მონაკვეთი ჩვენთვის სწორედ მწერლის შინაგანი დიალოგია მეორე მე-სთან, სადაც ის ხან უტრირებულად და ცინიზმით ეხება ზოგიერთ მოდურ ტენდენციას, ხან კი სრული სერიოზულობით გამოხატავს აზრს თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრებისა და წერის ზოგიერთი პრინციპის თაობაზე.

მწერლობის შესახებ, ასეთივე შინაგან დიალოგს ვხვდებით მოთხრობაშიც - ,,სანამ დაგვიძახებენ“. მთავარი გმირი გიო, ისევ დამწყები მწერალია და მეგობარ გამოცდილ მწერალს სთხოვს შეაფასოს მისი ნაწერები. პერსონაჟები აქ ბიჭები არიან, მაგრამ რეალურად, მათ მიღმაც თამრი ფხაკაძის ორი მე დგას:“კაროჩე,ის აკლია....აი,შენ წერას...სკანდალი,რარამე ისეთი....ან სტრიპტიზი...ან თრილერი...

-რა?

-თრილერი,რა!...ნერვული კანკალი!შოკი....მე რომ დღევანდელი მკითხველი ვარ,გიუშ,აღარ მინდა სიმშვიდე აღარ მინდა შენგან ვარდბულბულიანი,ძმაო...გამიგე?აღარ მინდა სილამაზე....იმენა,გიუშ,სიმახინჯე მინდა.შავი ფერი გაკლია...რა ვიცი ეხლა...ერთი მოთხრობითაც ძნელია... მკითხველსგიუშ...დღევანდელი მკითხველს იმენა,რა უნდა შესთავაზო?უკვე ყველაფერი წაიკითხა,ძმაო...მილიონი მიმდინარეობა და რამე...

ვარდბულბულიანი მოათავა... კომუნისტური ოდეინი და იმედიანიც-მოათავა.შენ რას აძლევ ახალს?იფიქრე რა, შენ რა უნდა მისცე?“[ფხაკაძე,2011წ: 130].

აქ ავტორი თითქოს საკუთარ თავს ეკამათება, ერთის მხრივ, გიოს მეგობრის აზრებით, რომელიც ლიტერატურული მოდის ტენდენციებზე აპელირებს და სკანდალურობას, ეპატაჟურობას სახავს წარმატების აუცილებელ პირობად და მეორეს მხრივ, გიოს ფიქრები - პასუხების ნაცვლად, რომ მისთვის მთავარი ღირებულებები იმის წერაა, რაზეც გულწრფელად ეწერება და არა ხელოვნური ეპატაჟი და მოდურობა, რომელიც, ნებისმიერ შემთხვევაში, დროებითი მოვლენაა და მარადიულ ფასეულობებს ვერასოდეს დასძლევს. ეს არჩევანი და ცდუნება, სავარაუდოდ, უდგება ყველა მწერალს და ალბათ მათ შორის თამრი ფხაკაძესაც, მაგრამ ის აკეთებს არჩევანს სულიერი და არა მატერიალური ფასეულობების მიხედვით, შესაბამისად, მოთხრობაშიც გიოს დამოკიდებულება პატივისცემასა და მოკრძალებას იმსახურებს, რადგან მას არ სურს საკუთარი თავის წინააღმდეგ წასვლით გაიკვალოს გზა, როგორც მწერალმა, მას გულწრფელად დარჩენა უჯობს და, საბოლოოდ, სწორედ ეს გულწრფელობა აღაფრთოვანებს მკითხველსაც.

მოთხრობაში- ,,ცოდვილთა თავშესაფარი“ მთვარი პერსონაჟი სულაც არ არის მწერალი, მაგრამ იგი მკითხველია, ოღონდ ადამიანების აზრების მკითხველი და, შესაბამისად, ეს შეიძლებაა გადატანითი მნიშვნელობით იქნას გააზრებული და გაგებული, როგორც მწერლის სულიერი სამყაროსა და შესაძლებლობების მეტაფორული ხედვა.

ფროიდისთვის, ადამიანის„არაცნობიერისურვილებისაზოგადოებისმიერშექმნილმორალსეწინააღმდეგება დაამიტომპიროვნებამათარაძლევსცნობიერადგამოვლენისსაშუალებას. სამყაროსმამოძრავებელიძალებიდამიზეზებიჩვენიკონცეპტუალურიგაგებისმიღმარჩებადა მათიახსნისმცდელობასინამდვილისგროტესკულიშენიღბვადაამოუხსნელისდამახინჯებაა “[ფროიდი,2015: 11-20].ამკონცეფციასეხმიანება თამრი ფხაკაძის მოთხრობა „ცოდვილთა თავშესაფარი“

შეიძენს რა მთავრი გმირი - სანდრო ნიჭს, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდა, პრაქტიკულად ხვდება რადიკალურად განსხვავებულ სამყაროში. უფრო სწორად, ხვდება, რომ სამყარო, სადაც ცხოვრობს არის მოჩვენებითი, ხოლო რეალობა სრულიად სხვანაირია და, რაც ყველაზე უფრო მტკივნეულია მისთვის, ადამიანები ბევრად უფრო ამღვრეულნი არიან სულიერად, ვიდრე მას ოდესმე შეეძლო წარმოედგინა. სწორედ აქედან იწყება მისი სულიერი ტანჯვაც, ხოლო ორი სამყაროს- რეალურისა და მოჩვენებითის შეპირისპირება, სწორედ ლიტერატურული და ნამდვილი პერსონაჟების, შემოქმედებისა და ცხოვრების შეპირისპირებაც შეიძლება იყოს სიმბოლური გააზრებით, თუმცა რომელია უფრო რეალური და ნამდვილი? ის, რასაც ჩვენ ყოველდღიურობაში ვხედავთ, თუ ის, რასაც მწერლის თვალი ამჩნევს და ლიტერატურად გარდასახავს? ამ კითხვაზე პასუხს ეძიებს მწერალი მკითხველთან ერთად, უფრო ზუსტად კი სვამს კითხვას და საპასუხოდ უტოვს ადრესატს: „წინიყოდამამშვიდებელია-რა-ფე-რიდაარ-სა-ითდაახალინიჭი. სანდრომთავისისიცოცხლისპირველი, უვიცინაფაზიდაარტყადაამყველაფერშიშევიდა. ცოდვილთადიდითავშესაფარიიყო, რომლისთვისაცშეგეძლოთავზეცგადაგეფრინადახოხვითაცგერტყაწრეები; რომელსაცხანსიცრუისნისლებიფარავდა, ხანამპარტავნებისქარიშხლებიანგრევდა, ხანსინანულისწვიმებინამავდა, ხანგანწმენდისწამიერინათელიასხივებდა...“[ფხაკაძე,2011: 239] - წერს ავტორი და დასკვნას მკითხველს მიანდობს.

სანდროს თვალით დანახული სამყაროს აღწერისას საინტერესო პარალელი იქნება დავესესხოთ ნინო გიორგობიანის სტატიას, სადაც იგი განიხილავს საკითხს ,,ნიღბისეული დისკურსი ქართულ მოდერნისტულ პროზაში(ალექსანდრე ცირეკიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის და ლეო ქიაჩელის მიხედვით)“, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ სულ სხვა მწერლებსა და მოთხრობებზეა შექმნილი ხსენებული ნარკვევი, მასში საინტერესოდ არის ასახული ადამიანის რეალური და ხელოვნურ-საჩვენებელი სახის ლიტერატურული მაგალითები. სანდრო კი სწორედ რეალურ სახეს ხედავს ფასადური სახის მიღმა. მისი თვალით დანახულ სამყაროშიც ერთი

მთლიანი კონცეფცია იქმნება, რომლის მიხედვითაც ხილული რეალობა ბუტაფორიაა, რადგან ილუზორულია. ის მკვეთრად არის გამიჯნული ნამდვილი სამყაროსგან, ახალ სამყაროში ყველაფერი ყალბი და მოჩვენებითია - ცოლის სიყვარულიც კი, რომელიც ათი წლის უკან გაგიჟებით უყვარდა ... ახლა კი რას ხედავს- ქალი, რომელიც მასთან სარეცელს იყოფს ფიქრობს ღალატზე „სან! ამას ვერასდროს წარმოვიდგენდით, მაგრამ მინდა გიღალატო... “ [ფხაკაძე, 2011: 237].

პერსონაჟის თვალწინ, ქალაქში, ჩნდებიან გროტესკული სახეები - იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს რეალობა არაა ნამდვილი, თითქოს, სამყაროში ადამიანების გროტესკული ნიღბების მასკარადია. ,,მთავარი პერსონაჟის ცნობიერება ერგვარი სარკე ხდება, რომელიც ირეკლავს ზემოხსენებული რაციონალიზმის გავლენას საზოგადოებაზე და ადამიანთა ნამდვილ სახეს გვიჩვენებს“ [გიორგობიანი, 2019: 237].

ჩვენი გააზრებით კი, სწორედ ეს არის მწერლის ლაბორატორიაში ხეტიალი, ნამდვილი მწერლის ყველაზე დიდი ნიჭიც ხომ ადამიანის სულის ლაბირინთებში წვდომის უნარია, მათი ასახვა კი ყველაზე საინტერესო პროცესი, ამიტომ, ჩვენთვის, სანდროს პერსონაჟიც მწერლის ალტერ-ეგოა, რაც არ უნდა უცნაურად აღიქმებოდეს.

მოთხრობის ფინალურ ნაწილში, კიდევ ერთ სიმბოლურ მინიშნებას აკეთებს მწერალი. აღწერილი ამბავის ფონზე, ჩნდება ქალი - „მეძავი“, რომელიც სინათლესავით იჭრება სანდროს აღქმაში და წამიერად შეაგრძნობინებს მას კოსმოსის ჰარმონიას, იმ ერთიანობას, რომლის მიღწევაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მისთვის ამ იმედგადაწურულ მდგომარეობაში. მეძავი ქალის გამოჩენით, თითქოს, „ჩატეხილი ხიდი“ მთელდება და რეალობისგან რადიკალურად განსხვავებული ქრონოტოპი იქმნება: ,,არუწყოდა, რას ფიქრობდა ეს დაცემული ანგელოზი და არც სურდა სცოდნოდა! მსუბუქი და ბედნიერი მიაბიჯებდა ახლად ქცეულ რაღაცაში'' [ფხაკაძე, 2011: 253]. მეძავი ქალის ამდაგვარი შემოყვანით, მწერალი მიგვანიშნებს, რომ რაც წმინდად და უცოდველად გვეჩვენება, ყველაფერი სიყალბისა და ცოდვების ბუდე შეიძლება აღმოჩნდეს, ხოლო რაც უწმინდურად და ცოდვილად მოჩანს, მასშიც შეიძლება სისუფთავის ძიება და იქნებ უფრო ნამდვილისა და ხელშესახებისაც კი.

§.2. ადამიანისდანიშნულებისძიებამხატვრულშემოქმედებაში

თამრი ფხაკაძის შემოქმედებითი ინტერესის სფერო მრავალფეროვანია და ხშირად ღრმად ფილოსოფიური. მწერალი შემოქმედებაში ძალიან ხშირად შეეხება ზოგადსაკაცობრიო პრობლემატიკას, რადგან მისი ინტერესის სფეროს, ძირითადად, ადამიანი წარმოადგენს. რა არის ადამიანის დანისნულება, რა მისია გვაქვს ჩვენ ამ სამყაროში, სად ვეძიოთ სწორი გზა. ეს ის კითხვებია, რომლებიც სულ არის გაბნეული მწერლის შემოქმედებაში, უფრო სწორად, ჩვენ კონტექსტებიდან არაერთგზის ამოვიკითხეთ ეს საინტერესო შეკითხვები. ბუნებრივია, რომ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ასეთი მარტივი არ არის და ისინი თავის თავში ასევე მოიცავენ, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ მარტივ ყოფით საკითხებს, რომლებიც იმდენად ფართედ ფიგურირბს თამრი ფხაკაძის პროზაში, რომ თითოეულ მათგანზე შეიძლება კიდევ ცალკე ნაშრომის შექმნა, მაგრამ ჩვენ, ამ ეტაპზე, იძულებულნი ვართ მიმოხილვით ანალიზს დავჯერდეთ, რომლის სიღრმეებში განვითარებაც მომავალში კვლავ იქნება შესაძლებელი.

მოთხრობაში „გაფრენა“, მწერალი მომაკვდავი გლეხი კაცის ფიქრებსა და განცდებს ასახავს, რომელსაც ტრაგედიად ის კი არ ეჩვენება რომ კვდება, არამედ ის, რომ ვეღარ შეძლებს თავისი ვაზის მოვლას. მიხო პაპას წამოდგომა უნდა მხოლოდ იმიტომ, რომ ნახოს, როგორია გაზაფხულზე თავისი არემარე, არ ფიქრობს იმაზე, სად მოხვდება- ჯოჯოხეთსა თუ სამოთხეში და ადარდებს მარტოოდენ კითხვა - არის თუ არა იქ ვაზი, რომ მის მოვლა შეძლოს, ან მიწა, სადაც თავისთვის იფუსფუსებს, რადგან ეს ყველაფერი წარმოადგენს მისთვის სამოთხეს. ამ ყველაფრით, მწერალს ერთის მხრივ, სურს მკითხველს დანახოს, თუ რა ძლიერია ქართველი კაცის სიყვარული სამშობლოსადმი, რომლის სიმბოლოდაც ვაზი წარმოგვიდგენია და მეორეს მხრივ, ავტორი სწორედ ადამიანის დანიშნულებაზე მიგვითითებს, მთავარია ვიპოვოთ საკუთარი ფუნქცია, შეგვეძლოს ზრუნვა და, შესაბამისად, შევძლებთ საკუთარი სიცოცხლის გაგრძელებას ჩვენს

შექმნილ ღირებულებებსა თუ ნაკეთებ საქმეებში. ნაწარმოების ბოლოს მწერალს შემოყავს ჩიტები, რომლებიც, ამ შემთხვევაში, სულის მარადიულობის სიმბოლო უნდა იყვეს, ჩვენი შეფასებით.

მოთხრობაში ,,გაკვეთილი", მწერალი, ასევე, მომაკვდავი ადამიანის ფიქრებსა და განცდებს აღგვიწერს, თუმცა, აქ, მიხო პაპასგან განსხვავებით, ახალგაზდა კაცი ებრძვის სიკვდილს. მომაკვდავი ესაუბრება სხვა ადამიანს და უყვება თავის განვლილი ცხოვრების შესახებ, იმაზე, რომ ყველაფერში ნიჭიერი იყო და ყველაფრის სწავლა, რაც კი მოინდომა, სულ რამოდენიმე გაკვეთლში შეძლო, გარდა საკვდილისა. ნაწარმების ბოლოს კი თხრობას ასე ამთავრებს: „აუ... აუ... ააუ ჩემი ...ااااااუ ჩემი.... მიდი რა... ძმურად... ექიმია, ოთახში... აუ ჩემი... ხო, ხო... დაუძახე, ჯიგარო... ხო გაკვეთილი მეწყება... გამიგე?.... ააუ.. ااااუ ჩემი.... გაკვეთილი მეწყებაა..." [ფხაკაძე,2003: 254]. მწერალი ამით გვიზიარებს მოსაზრებას, რომ ცხოვრება საერთოდ გაკვეთილების ციკლია, რომლის შემადგენელი ნაწილი სიკვდილიც არის, ეს ციკლი რომ სრულყოფილად შედგეს ბოლო გაკვეთილიც უნდა ჩატარდეს, თითქოს ამ ფილოსოფიურ აღქმაში სიკვდილი და სიცოცხლე ერთ მთლიანობას წარმოადგენენ. ვაჟაც ხომ ამას ამბობს:,, ღმერთმაგიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლეჰშვენობსშენითა"[ვაჟა-ფშაველა, 2020: 1],მაგრამ სიკვდილი მაინც იმ გაკვეთილად რჩება, რომელიც ყველას უსწავლელი დარჩა.

ნაწარმოების გმირის მეგობარი წარმოსახვითია, იქნებ სულაც სიკვდილის ანგელოზია, რომელიც მის წასაყვნათ არის მოსული. გაღებულ ფანჯარასაც და გარეთ ნუშების აყვავებასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს; ეს ყველაფერი შეიძლება იმის მანიშნებლიცაა, რომ ბიჭი უკვე ხედავს იქით მიღმიურ სამყაროს, და მაინც, რა არის, ამ შემთხვევაში, იმ საზრისის გამოხატულება, რაც მთავარ გმირს უნდა ჰქონოდა და რატომღაც არ უჩანს; ის ხომ სწავლობდა ყველაფერს, რისი სწავლაც შეიძლებოდა, მაგრამ რას ჰქმნიდა და ემსახურებოდა- ეს არის მთავარი და სწორედ ეს არ ჩანს მის მონათხრობში. მთავარი მიღება რისი შეგვიძლია ის კი არ არის, არამედ რას გავცემთ, ესაა დასკვნა, რომელიც ჩვენ გამოგვაქვს ამ ანალიზიდან, ამიტომ არის პერსონაჟი მიხო პაპასთან

შედარებით ბევრად უფრო შესაბრალისი, რადგან მიხო პაპას, მისგან განსხვავებით, აქაც რჩება სულის ნაწილი.

მოთხრობაში „მოლოდინი“,მთავარი გმირი კვლავ მომაკვდავი კაცია, თვითონ ნაწარმოების სათაურიც სიმბოლურია- პატიმარი N108, სწორედ სიკვდილს ელოდება და თითქმის დარწმუნებულია, რომ ეს გარდაუვალია. ზუსტად ამ მდგომარეობაში მყოფს უყვარდება სიცოცხლე: „გიჟურმა ამბოხმა აიტანა. მოუნდა სიცოცხლე, მოუნდა თავისუფლება, მოუნდა ამ ხველისგან თავის დაღწევა… გიჟურად… გიჟურად მოუნდა!“ ეხლა იწყებს იმის დაფასებას, რაც აქამდე ჰქონდა და არაფრად მიაჩნდა: „ჯერ ახალგაზრდა კაცი ვარ… განა მორჩა ცხოვრება! რათ მორჩა! ალმასივით ბიჭი მეზრდება… ანგელოზივით ცოლი მიცდის გულისფანცქალით წელიწადიცა და! წელიწადი რაღაა“ [ფხაკაძე,2011: 38]. ყოველი ადამიანის ფსიქოლოგია ასეა მოწყობილი- რასაც ვკარგვათ, მაშინ ვიწყებთ იმის დაფასებას, მაგრამ ზოგჯერ ძალიან გვიანია. მწერალი საიდუმლოდ ტოვებს, საბოლოოდ, დააგვიანდა თუ არა მოთხრობის გმირს, მაგრამ მან მისი ამ ქვეყანასთან სიკვდილის შემდგომი კავშირი საკუთარი შვილის სიცოცხლეში ჰპოვა და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვართან შეძლო სიცოცხლის ახლიდან შეყვარება. ამან კი მისცა ძალა საბრძოლო განწყობისთვის: „ვერ მომერევი, შენი! ვერა! იმდენი რამე გადამარჩენს რომ... ჯერ მარტო, რო, გავალ აქედანა და რო ჩავისუნთქავ! აქა, ჰაერიცპატიმარია. არგერგება, ჯანშიარმიდის….“ [ფხაკაძე,2011: 40]. ის მხოლოდ ახლა აფასებს თავის ცხოვრებამ როგორ ამაოდ ჩაიარა, როგორი ვერ შეძლო მამობის განცდით დამტკბარიყო, მაგრამ სიკვდილის მოლოდინმა კი არ გააბოროტო, პირიქით, უფრო მოანდომა სიცოცხლე, ახლებურად დაანახა ყველაფერი და ცხოვრება ახლი ფერებით დაინახა .

მოთხრობით მწერალს სურს დაგვანახოს, რომ რაც გვაქვს, თავის დროზე დავაფასოთ და მოვუფრთხილდეთ, რადგან არ ვიცით ვის რა მოგველის ცხოვრებაში: ყოველი ჩვენგანი ხომ მოლოდინის რეჟიმში ვართ.

მოთხრობა „ლამზირა“ კი სულაც არ ეხება სიკვდილის პირას მყოფი ადამიანის განცდებს, თუმცა ცხოვრების საზრისის ძიების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, ერთ-ერთი

საინტერესო ნაწარმოები უნდა იყოს. მოთხრობა მარტივი ენით არის დაწერილი. მისი თხრობა სადა და ინფორმატიულია. თამრი ფხაკაძე „ლამზირაში“ გვიხატავს ქართველ ქალს, რომლის აზროვნებაც სხვადასხვაგვარია სხვა და სხვა ასაკში. ანუ, როგორ ცვლის ცხოვრება ადამიანის აღქმას, სამყაროსი თუ მის ირგვლივ განვითარებული მოვლენებისადმი. მწერალი ორიგინალურად და ზუსტად აღწერს ადამიანის სულის იდუმალ სიღრმეს. ეპითეტებისა და შედარების საშუალებით გვიხატავს პერსონაჟებს. ნაწარმოების რიტმი დინამიკურია, არსად არ მდორდება. მთხრობა გამდიდრებულია დიალექტური მეტყველებით, მასში მრავლადაა გამოყენებული დიალოგები. სიუჟეტი ერთი გმირის გარშემო მიმდინარეობს და ამ გმირის მაგალითით, მწერალი ახერხებს გვიჩვენოს, რომ ზოგჯერ საქმე იმაში კი არ არის რა ხდება ჩვენს თავს, არამედ იმაში თუ როგორ აღვიქვავთ და ვრეაგირებთ თავად.

ამავე კუთხით, მეტად საინტერესოა პიესა „მატარებელი არ მოვა“; ადამიანისცხოვრებაერთდროულადარისბიოლოგიური, სოციალურიდაკულტურულიმოვლენა. ამისგამოიგიურთულესიმექანიზმია. ადამიანი,ზოგადად,ბობოქარისულისპატრონია,ისყოველთვისიბრძვის,მასყოველთვისსირთულებისგადალახვაუწევსცხოვრებაში. მატარებელიცსულ მოძრაობაშია, მისიგაჩერებაარავისძალუძს, გარდა რაიმე დაბრკოლებისა. ასეა ადამიანიც, მისი ცხოვრებაც მხოლოდ მაშინ ჩერდება, თუ რაიმე სირთულეს გადაეყრება.

მატარებელი ავტორს ადამიანისცხოვრებასთანჰყავს გაიგივებული,როგორცცხოვრბის სიმბოლო. ცხოვრებაცხომმატარებლივით არის აწყობილიდაგააჩნიაურთიერთ განმსაზღვრელიათასგვარიდეტალიდაელემენტი, ამასთანავე ბობოქარიდახმაურიანია. ის დრო და დრო ყოვნდება სადგურებზე და იძენს ახალ დანიშნულების პუნქტებს, ისევე, როგორც ადამიანი ილტვის ერთი მიზნიდან მეორესაკენ. მატარებელმა შეიძლება იგივე ადგილიდან გაგრძელოს მოძრაობა,სადაცგაჩერდა,ასე ვართჩვენც-ადამიანები,ტკივილისდასირთულისგადალახვისშემდეგშეგვიძლიაგანვაგრძოთცხოვრება.

მოთხრობის მატარებელი კი გაჩერებულიაისევე, როგორც რთული დრო აპაუზებს ადამიანის მიზანსწრაფვას.

პერსონაჟების შინაგანი სამყაროც, ნაწარმოებში აღწერილი მატარებელის სადგურივით, მიტოვებული და გაპარტახებულია. ქალს გული აქვს გაქვავებული, პოეტს სიკვდილი სწყურია, მეწარმესათვის კი სიყვარულის გრძობა და ადამიანური გრძნობები უცხოა, მისთვის მხოლოდ ფულია მთავარი, მასში დაეძებს ბედნიიერებას. მწირს კი მხოლოდ პატიება სწყურია. ნაწარმობისბოლოსმატარებელიგამოჩნდება-ესზუსტადიმისმანიშნებს,რომყველამდაიბრუნათავისი ცხოვრებისგაგრძელებისაზრი:მეწარმემშვილიიპოვადასამყაროსახლებურადშეხედა,პოეტმ ასიყვარულიდაიბრუნადამამაიპოვა.მწირმაკიპატიებადამსახურა ... სიუჟეტის ამგვარი დასასრულიც სწორედ იმას ნიშნავს, რომ ყოველთვის აქვს აზრი მიზნისთვის ბრძოლას, გაჩერება სტაგნაციას ნიშნავს და ხელმოცარულობას, ცხოვრების საზრისი კი მოქმედებაშია.

თავი IV. თემატურიტენდენციები

§.1. თემატურიპრობლემატიკისანალიზი

თამრიფხაკაძის შემოქმედება, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, ძალიან მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით, აშკარაა, რომ ავტორი არ განიცდის დეფიციტს თემებისა, რომლებიც მოთხრობებისა თუ რომანების ინსპირაციის წყარო აღმოჩნდება ხოლმე და არც სამწერლო წარმოსახვა და აღქმა აკლია. თამრი ფხაკაძეს რომ, ერთი შეხედვით, თითქოს სრულიად ჩვეულებრივი, ტრივიალური ამბავი სრულიად არაჩვეულებრივი რაკურსით დაგანახვოს და აბსოლუტურად სხვა სამყაროს კარი იქ გაპოვნინოს, სადაც არასოდეს შეგინიშნავს. მაგრამ მწერალს მაინც აქვს თემები, რომლებიც უფრო მეტი ინტენსივობით და მრავალი წახნაგით შემოიჭრებიან მის შემოქმედებაში, რაც იმის მიმანიშნებელია, თუ რა არის ყველაზე უფრო მტკივნეული ცხოვრებისეული პრობლემები ავტორისთვის.

ასევე მნიშვნელოვანია, ამ კუთხით, მხედველობაში ვიქონიოთ მწერლის გამოხატვის თავისებურებანი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და პირდაპირ არის კავშირში თემატიკასთან, რადგან, როგორც ცნობილია, ერთი და იგივე თემაზე შეიძლება დაწეროს ბევრმა ავტორმა და საინტერესო იყოს მხოლოდ ერთი.

ზემოთ, ჩვენ შევეხეთ 90-იანი წლების მძიმე გავლენას თანამედროვეობაზე და ქართულ-რუსული კონფლიქტის შემადგენელი საომარი მოვლენების ლიტერატურული რეფლექსიის თემას თამრი ფხაკაძესთან, რაც, თავისთავად, არის თემატიკის მნიშვნელოვანი ხაზი მწერლის შემოქმედებაში. ამასთანავე, პატრიოტული მოტივი და სულისკვეთება ამავე ნაწარმოებების განუყოფელი შემადგენელია, ისევე, როგორც თამრი ფხაკაძის მთელი შემოქმედებისა. თუმცა, ჩვენ შევნიშნეთ და გამოვყავით კიდევ რამდენიმე თემატიკა, რომელზეც მწერალი განსაკუთრებული

შინაგანი მოტივაციით, ტკივილითა და სიყვარულით წერს. წინამდებარე პარაგრაფში გავმიჯნავთ და შევეხებით შემდეგ პრობლემებს თამრი ფხაკაძის პროზაში: ემიგრაციის რეალისტური პრობლემა მხატვრულ ტექსტებში, დედა-შვილობისა და მამა-შვილობის განცდა მწერლის შემოქმედების მიხედვით, პიროვნული თავისუფლების წყურვილი. ასევე, ძალიან საინტერესოა, კვლევის თვალსაზრისით, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული პრობლემის თამრი ფხაკაძისეული ხედვა, თუმცა, ეს პრობლემა, როგორც ჩვენ ვასკვნით, საკმაოდ ვრცელი კვლევის საგანი შეიძლება გახდეს თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში და ამდენად, ისევ და ისევ ჩვენი შეზღუდული ფორმატიდან გამომდინარე, არა ცალკე, მაგრამ ამავე კვლევის მომდევნო ნაწილში, ზოგადად მაინც შევეხებით აღნიშნულ პრობლემას.

ბუნებრივია, ჩვენ კიდევ დაგვრჩა სხვა ბევრი საინტერესო თემაც განხილვის მიღმა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, ნაშრომის ფორმატი არ იძლევა შესაძლებლობას მოვიცვათ აბსოლუტურად ყველა საკითხი, თუმცა, დიდი იმედი გვაქვს და გვჯერა, რომ მომავალში აუცილებლად გაგრძელდება თამრი ფხაკაძის შემოქმედების კიდევ უფრო ღრმა და საფუძვლიანი კვლევა.

§.2. ემიგრაციისპრობლემამხატვრულტექსტებში

გარკვეული თვალსაზრისით, შესაძლებელი იყო ემიგრაციის მტკივნეული პრობლემაც განგვეხილა, როგორც მასშტაბური კონფლიქტისა და 90-წლების ერთგვარი გამოძახილი, რაც დიდ წილად ასეც არის, თუმცა, ჩვენ ზუსტად არ ძალგვიძს გამორიცხვაც, რომ ამ კონფლიქტის გარეშე ემიგრაციის პრობლემა არ იარსებებდა, ანუ, ამ შემთხვევაში, მსჯელობა საფუძვლიანი, თუმცა, მაინც ჰიპოთეტურია. ამდენად, ვარჩიეთ საკითხის განხილვა რეალისტური პროზის კონტექსტში და კერძოდ ამ პარაგრაფში განგვეთავსებინა, მით უმეტეს, რომ პრობლემა ნამდვილად არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი და

საყოველთაოდ ნაცნობი თემა, როგორც თანამედროვე ქართული რეალობისა ისე, მხატვრულ ლიტერატურისთვის.

დავიწყოთ იქიდან, რომ ემიგრანტები და ემიგრაციის თემა შესაძლოა სულაც არ იყოს წარმმართველი თემატიკა თამრი ფხაკაძესთან, მაგრამ გამორჩეულ პრობლემათა შორის ნამდვილად არის. რით განვასხვავებთ ჩვენ მათ ერთმანეთისაგან? იმით, რომ ნაწარმოებებში მთავარი თემა, ხშირად, სულაც არ არის ემიგრაცია და არც მოთხრობა შეეხება ემიგრანტის ცხოვრებას, ზოგადად, მაგრამ, საკითხი მაინც იმდენად მტკივნეული შთამბეჭდავობით შეიძლება შემოიჭრას თამრი ფხაკაძის ნაწარმოებში, რომ ეს განცდა დიდხანს დაამახსოვრდეს მკითხველს.

ამ თვალსაზრისით, ყველაზე შთამბეჭდავი სურათი იხატება მოთხრობაში ,, სანამ დაგვიძახებენ“, სადაც ჯერ კიდევ დასაწყისში გამოხატულია პერსონაჟის წუხილი, რომ მისი მეგობრები ან სულაც აღარ არიან, ან ქვეყნის გარეთ არიან, მოკლედ, მესიჯური პრინციპით, მაგრამ სრულიად გასაგებად ასახავს პრობლემის არსს. ხოლო მოგვიანებით, ამავე მოთხრობაში შემოყვანილი პერსონაჟი - ქეთა, რეალურად, სწორედ ემიგრაციის მკაცრი და შეულამაზებელი სურათის საჩვენებლად უნდა იყოს მოაზრებული. სხვა მის მსჯელობას რომც არ მივყვეთ, მარტოოდენგიოს შეკითხვაზე ქეთას გაცემული სასოწარკვეთილი პასუხია უზომოდ მრავლისმეტყველი: ,,და რომ აღარ წახვიდე?... თუკი ასე ძნელია?“ - სვამს გიო კითხვას, ქეთა კი ტირილით პასუხობს: ,,მერე რა ვქნა, გიო!“ - და ეს მოკლე პასუხი აღნიშნავს გამოუვალი მდგომარეობის ტრაგიზმს, როცა სამშობლოს დატოვება ჯოჯოხეთად ფასობს და მაინც სხვა გზა არ გაქვს. ქეთას მონოლოგი კი, კიდევ უფრო ამძაფრებს ამ განცდას და, ჩვენი აზრით, ქართველი ემიგრანტის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული სურათი იხატება, რაც კი შექმნილა ქართულ ლიტერატურაში: ,,გიო.. შენ აზრზე თუ ხარ, რომ შეიძლება ვეღარ გნახო... და ისე ჩავკვდე იქ, რო... ჰა? აზრზე ხარ?! იცი, სად? ცხრა მთს იქით... მარტო! შენ კიდე... ერთი გოგო მოკვდა იქ... თბილისელი... ისიც ჩემსავით...“ [ფხაკაძე,2011: 153]. აქ უკანასკნელი სიტყვები,,ისიც ჩემსავით“ - იმის მანიშნებელია, რომ ქეთა მხოლოდ ერთ გოგოს არ გამოხატავს და ემიგრაციაში გარდაცვლილის პრობლემა განზოგადებული პრობლემაა, ყველაზე მძიმედ კი სწორედ ის

აღიქმება, რომ წამსვლელები, წასვლის სიმძიმეს ზედმიწევნით იაზრებენ, სძულთ და სიკვდილივით აშინებთ ეს წასვლა, სიუცხოვეში, სიმარტოვეში, უთვისტომობაში, თუმცა არ იციან, რომ დარჩნენ - ,,მერე რა ქნან“.

რომანში ,,CV” აღწერილია მწერალი ქალის მცდელობის შესახებ - რამენაირად, ნებისმიერი პირობით, ნებისმიერ ადგილას მოახერხოს სამსახურის შოვნა, მაგრამ მიუხედავად ამომწურავი მცდელობისა, იგი ამას ვერ ახერხებს, სერიოზულ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ტრამვა კი მიდის ამ ძიების რუტინაში. საინტერესოა, რომ მოთხრობის გმირი ემიგრანტი არ არის, მაგრამ ემიგრანტის ემოციებს მას დაუსრულებელი სამსახურის ძიება განაცდევინებს. სიუჟეტის მიხედვით, ის ლეთარგიული ძილის მდგომარეობაში აღმოჩნდება და ამ მდგომარეობაში მისი განცდები და აზროვნება, შეზღუდვის ნაცვლად წნეხებისაგან თავისუფლდება. ამიტომ, ასეთ ვითარებაში წარმოიდგენს, რომ კარგი იქნება თუნდაც ჯოჯოხეთში თუ მაინც მისცემენ სამსახურს, რაც სხვა არაფერია, თუ არა მწერლის მიერ, ემიგრაციაში ყოფნის შედარება ჯოჯოხეთთან.

ერთ-ერთ ეპიზოდში, ავტორი აღწერს გმირის სულიერ მდგომარეობას, ის თითქოს თავს ნეტარებაში გრძნობს, აქვს ის, რაზეც ამდენი ხნის გამავლობაში ოცნებობდა, მაგრამ გაუსაძლისად ენატრება თავისი სოფელი. ავტორი მთავარ გმირს ხატავს, როგორც პატრიოტ, თავის სამშობლოზე შეყვარებულ ადამიანს, რომელიც ყოველგვარ ტანჯვაზე და გაჭირვებაზე თანახმაა, ოღონდ სამშობლოში დაბრუნდეს და ეს მდგომარება, რაც მის თავს ხდება, მისთვის სწორედ ემიგრეაციაში ყოფნის ტოლფასია: ,,დროებით დაკარგული ვარ, განსახლებული ვარ აქ, სადღაც და მინდა, მინდა დაბრუნება... და გავიფიქრე: წუთისოფელი ჩემი სამშობლოა. ახლა ემიგრაციაში ვარ და... და სამშობლოში დაბრუნება მინდა. სიხარულით მოვფრინავდი იქიდან. ნიშნის მოგებით მოვფრინავდი.ზუსტად ისე, საზღვარგარეთიდან რომ მიფრინავენ ხოლმე სამშობლოსგან გულნატკენები. მეგონა... მეგონა, რომ... მაგრამ ახლა უკან მინდა დაბრუნება. ჩემს სამშობლოში ანუ ჩემს ტანჯულ სიცოცხლეში გამიშვით....“[ფხაკაძე,2009: 130]. ასე ფიქრობს გმირი და ასე ხედავს მწერალიც

ამ პრობლემას, დილემა რთულია და მტკივნეული, მაგრამ იოტისოდენა შანსი მაინც თუ არსებობს, მაშინ ავტორის რჩევა დაბრუნებაა.

იმავე პოზიციას გამოხატავს მოთხრობის ,,აქ“ მთავარი გმირი, მასაც ესმის, რომ რთული არჩევანის წინაშე დგას, ეძიოს სადმე ,,გადახვეწის“ გზები ან გაუმკლავდეს დუხჭირ ყოფას. მისი ოთხი დაქალიდან ერთი უკვე გათხოვდა შტატებში, მეორე კი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში თხოვდება და თვითონაც თითქოს დანანებით ამბობს: „მე თბილისს ვერ მოვშორდი, ვერ მოვშორდი ისეთს, როგორიც იყო... უდენოს, უფულოს, უსამართლოს და ზოგჯერ უსინდისოს... მაგრამ მაინც თბილისს. ერთხელ და სამუდამოდ გამჯდომოდა იდეა, რომ სხვაგან არსადაა ჭაღარა მთაწმინდა... რომ არაა სხვაგან ახალი ვარაზი... და კაცმა რომ თქვას, არცაა, არა?“ [ფხაკაძე,2003: 26]. ასეთია გმირის მონოლოგი, რომელიც, საბოლოოდ, საკუთარ თავსაც შეეკამათება, იმ იდეის ჭეშმარიტებისთვის, რომელსაც ზოგჯერ თავადვე ირონიით უყურებს. მისი მეგობარი კი აფრიკაში გათხოვებაზეც თანახმაა და საკუთარ თავს იმას აჯერებს, რომ საქმრო უყვარს, თუმცა, რომ არა დუხჭირი ყოფა, როგორც ჩანს, არც ეს სიყვარული იარსებებდა, რადგან მას უკვირს კიდეც- აქ რა უნდა მოენატროს:,,ნავთის ლამფა?! თუ ცრუპენტელა არჩევნები?! ...დახეული კალგოტკა! ცარიელი მაცივარი!“ [ფხაკაძე,2003: 26].ამ ციტატაში შემთხვევითი და კონტექსტიდან ამოვარდნილი სულაც არ არის არჩევნების ხსენება, სხვა ყველაფერი თუ სიღატაკეს გამოხატავს, ცრუპენტელა არჩევნები უიმედო მომავლისა და უპერსპექტივობის განცდის საფუძველს ქმნის, რასაც მწერალი, სავარაუდოდ, მთავარ არგუმენტად უთვლის პერსონაჟს. მთავარ გმირს კი მაინც სწამს, რომ ,,ასე არ იქნება სულ“ და ესეც მწერლის იმედიანი განწყობაა, თორემ დაიჯერებდა მისი მთავარი გმირი და თავს სამშობლოდან გაქცევით უშველიდა, როგორც მეგობარი დაჟინებთ ურჩევს.

§.3. დედა-შვილობისადამამა-შვილობისგანცდამწერლისშემოქმედებისმიხედვით

მოთხრობაში „ალიკო“ აღწერილია ქალი, რომელსაც ქმარმა უღალატა და მიატოვა. ამის გამო მან ცხოვრება შეიძულა და შურისძიების მიზნით გადაწყვიტა წერტილი დაუსვას საკუთარ სიცოცხლეს: „ასე იყო: შევიყვარე სიძულვილი და შევიძულე სიყვარული და ასეც დავაპირე ცხოვრება. დავაპირე კი არა დავიწყე, მაგრამ მთავარი? მთავარი დამავიწყდა. რატომ... რისთვის... რატომ შევიძულე სიყვარული... რატომ შევიყვარე სიძულვილი. ...მთავარი... მცხვენია კიდეც იმდენად მიწიერია და ისეთი გაცვეთილი... ორი სიტყვით ითქმის: ქმრის ღალატი“[ფხაკაძე,2011: 51]. ნაწარმოების ამ ფრაგმენტიდანაც მივხვდებით გმირის სულიერ მდგომარეობას, იგი იმდენად მარტოსულია, თითქოს არსებულმა ტკივილმა გაბოროტა, დაკარგვინა ღმერთის რწმენა, ყველანაირი წმინდა გრძნობა დაავიწყდა, იმდენად ტრამვირებული შეიქმნა, რომ ყველაფერმა აზრი დაკარგა მისთვის.

შემდგომ კი, ადამიანი, რომელიც ქმრის ღალატის გამო თავის მოსაკლავად ბოლო ნაბიჯსთვის სრულიად შეგნებულად ემზადება, მხოლოდ ერთადერთ განცდას გამოჰყავს ამ მდგომარეობიდან, მასში გარემოებათა მოულოდნელი დამთხვევა დედობრივ ინსტიქსტს წარმოშობს და იგი ხვდება რომ ეს შეგრძნება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია სამყაროში: ,,იცი.. მე შვილი არასოდეს მყოლია... მე... იცი... დედა არასოდეს ვყოფილვარ და უკვე ძალიან მიყვარხარ... იცი, რა კარგია? იცი, რა ძალიან კარგია?“ [ფხაკაძე,2011: 60]. აი, ამ სიხარულისა და ბედნიერების განცდით სავსე სიტყვების მთქმელი, რამდენიმე წუთით ადრე სიცოცხლეს ისწრაფებდა. მას, ბედის ირონიით, ზუსტად სიკვდილის წინ ეძლევა ნიშნები სიცოცხლისკენ მოსაბრუნებლად, ხან კომპლიმენტს იღებს, ხან სწორედ იმ ვიტრინასთან აღმოჩნდება, საიდანაც მისი საყვარელი ნამცხვარი მოჩანს, მაგრამ, უკან მოტრიალება წამითაც კი არ მოსდის თავში, მხოლოდ დედობრივი განცდა ახერხებს, რომ ცხოვრებამობეზრებული სუსტი არსება, ძლიერ და მებრძოლ ქალად აქციოს: ,,ჩემთან ნურაფრის გეშინია“ ეუბნება იგი ობოლ ალიკოს- ,,აწი ნურაფრის გვეშინია“. გამეორებისას უკვე მრავლობითი ფორმით ამბობს, რადგან, ნაწარმოებში ნაჩვენებია როგორ არიან ადამიანები მნიშვნელოვანნი ერთმანეთისთვის და როგორ შეიძლება, რომ ცალ-ცალკე მყოფი ორი ბედკრული და ცხოვრებისგან ნატანჯი ადამიანი ერთმანეთთან გაერთაიანებით ერთ წამში ბედნიერნი შეიქმნენ.

მოთხრობა ,,მოლოდინის“ მთავარი პერსონაჟი -#108 პატიმარი, პრაქტიკულად, უკანასკნელ დღეშია, იგი განწირულია, ამ შთაბეჭდილებას კი ავტორი ძალიან უჩვეულოდ და ორიგინალურად გამოხატავს მოთხრობის დასასრულს მისი შვილის რეპლიკის მეშვეობით. ბავშვი გარდაცვლილ ბიძაზე ეუბნება ბაბოს: ,,იცი, როგორ მიყვარდა ნოდარა ძია?... - მამაჩემიც მიყვარს...“ [ფხაკაძე,2011: 43]. ეს სიტყვები,რომლებიც ალალი და გულწრფელი სიყვარულის გამოხატულებაა, ამავდროულად, როგორც აღვნიშნეთ, მინიშნებაცაა, რომ #108 პატიმარი განწირულია და ამ განწირულ ვითარებაში მყოფ პატიმარს მთავარი ნუგეში აქვს, რომელიც აძლიერებს და ფეხზე დგომის ძალას აძლევს, ეს ელექსირი კი მისი შვილისადმი სიყვარულია: ,,ვერ მომერევი, შენი! ვერა! ...აი რო გავწვები მტკვრის პირზე... ავხედავ ლურჯ ცასა... ჩემი რო იქნება ყველაფერი... მტკვარიც... ცაცა და... რო მოვისვამ გვერდზე ჩემ ბიჭსა.

- მამი, ის რათ არი ისე?
- მამი, ეს რათ არი ესე?ეგრე იქნება? ეგრე იქნება, ნეტა? მომეჩვევა?“ [ფხაკაძე,2011: 40].აი, რა არის ურთულეს სიტუაციაში მყოფი კაცის ფიქრის საგანი და იმედის წყარო.

რომანის ,,CV“ დასასრულს, მთავარ გმირს ლეთარგიული ძილიდან აღვიძებს დედის მიერ ნამღერი იავნანა. ეს მონაკვეთი ჰქმნის ალუზიას იაკობ გოგებაშვილის მოთხრობასთან ,,იავნანამ რა ჰქმნა“, რომელშიც ქეთოს მხოლოდ მაშინ ახსენდება ღრმა ბავშვობაში დავიწყებული დედის სახე, როდესაც ის იავნანას უმღერებს დაკარგულ ქალიშვილს. თამრი ფხაკაძის რომანშიც, ვერაფერმა ვერ შეძლო გმირის გამოღვიძება ხანგრძლივი ძილისაგან მშობლიური იავნანას გარდა. ამიტომაა, რომ ეს სიმღერა უფრო მეტია, ვიდრე ბავშვის დასაძინებელი სიმღერა, ის უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში, ჯერკიდევწარმართობის დროიდან და მას სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა.ზუსტად ამიტომ აქვს იავნანა გამოყენებული თამრი ფხაკაძეს, რადგან ის ფესვების ძახილივითაა ჩვენი გმირისთვის, რაც აიძულებს გამოღვიძებას და რაც ყველაზე მთავარია, ამ მისტიურ სიმღერას ძალა მაშინ აქვს, როდესაც დედა მღერის შვილისთვის, ამდენად,

ბუნებრივია, სწორი იქნება თუ შევნიშნავთ, რომ იავნანას ძალა დედა-შვილური სიყვარულის საოცარი ფენომენის ბგერისმიერიგამოხატულებაა თამრი ფხაკაძისთვის.

დედა-შვილობის განცდის ნოსტალგიას ასე გამოხატავს გიორგი ობოლაძე (,,სანამ დაგვიძახებენ"):„ეჰ, მე რომ მოვედი, შენ რომ არ წასულიყავი, დედა, ხომ ვერ შემომივარდებოდა ამ შუაღამისას ეს კატასავით ზნექია ქალი?"[ფხაკაძე, 2011: 147]. გიორგის დედა მასზე მშობიარობას გადაჰყვა, გიორგი თავად არის მთხრობელი, ამიტომ მწერალს ეს ტკივილი მისი ცხოვრების ნაწილად დაუნახავს, იმიტომაც არის, რომ სხვა და სხვა ამბებსა და მეგობრებზე საუბრისას გიორგი მცირედ მაინც ახსენებს მისი თხრობის ადრესატი მეგობრების დედებს - ქეთას დედას, როლიკოს დედას, რევიას დედას, რომლებიც სრულიად განსხვავებული ტიპები არიან, მაგრამ აქ მთავარი ეს არის, მთავარია, რომ დედები უნდა იყვნენ ამ მოთხრობაში.

მოთხრობაში კი ,,სამნი მზის ქვეშ", მომავალი მამის განცდებია დახატული, რა სიყვარულითა და სითბოთი ელოდება იგი შვილის ამ ქვეყნად მოვლინებას და როგორ ითავისებს, რომ მისი შვილის დაბადება ახლა მის სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანია რადგან ასე გრძელდება სიცოცხლის უწყვეტობის პრინციპი და მისი შვილის სიცოცხლე შეინახავს მის სიცოცხლესაც: „ეხლა, მე ხო ემ ჩემ შვილს ეგრე ველი და, ყველანი რო ვიღაცისანი ვართ?... თუ რაღაცისანი?... განა დედებზე და მამებზე ვიძახი. ეგ ხოო, მაგრამ ყველანი, სუყველანი, დედებიან მამებიანა ხო ვაარ ვიღაცისანი, რაღაცისანი - თუ მიწისაა...

თუ ცისაა...

თუ ღმერთისაა...

რა ვი...

ამდენი შვილები, ამდენი"[ფხაკაძე,2011: 72]. ასეთ ფიქრებს შთააგონებს ბადრიას მისი უშუალო შემოქმედი და ამ გლეხკაცური ფილოსოფიით აუხელს თვალს მასაც და მკითხველსაც, დედა-შვილური თუ მამა-შვილური სიყვარულის უფრო მასშტაბურ ჭრილში გააზრებისთვის.

§.4. პიროვნულითვისუფლებისწყურვილიმხატვრულნარატივში

საკითხის განხილვის დასაწყისშივე, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თამრი ფხაკაძე სულიერი ღირებულებების მწერალია, მისი გმირები უფლის ძიებას დიდ დროს უთმობენ, რითაც ავტორი ამ საინტერესო ძიების წიაღსვლებს მკითხველს უზიარებს. ზოგი პერსონაჟი უფლის უარყოფას ცდილობს და პოლემიკაში ამ პოზიციით შემოდის, თუმცა ღრმა დიალოგში საცნაური ხდება, რომ მწერალს პერსონაჟთა ამდაგვარი განწყობა, მსჯელობის წესების სრული დაცვისთვის, ოპონირების პრინციპისთვის არის აუცილებელი, ამდაგვარი საპირისპირო პოზიციებით შეპაექრება კიდევ უფრო სრულყოფილად გამოკვეთს ავტორის მრწამსს, რომლისთვისაც ქრისტიანული სარწმუნოება სწორედ იმედისა და თავისუფლების წყაროა. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ამ პოზიციას იგი ბრმად კი არ იზეპირებს, არამედ სიღრმისეული გააზრებით უდგება და ისეთ კითხვებზე პასუხების ძიებით მიდის რწმენამდე, რომელის დასმისაც მხოლოდ ნამდვილ გონიერ მორწმუნეს არ შეეშინდება. მაგალითად, რომანის ,,CV“ პერსონაჟი - ნიკო მიიჩნევს, რომ თავისუფლების არქონის მთავარი მიზეზი ღმერთია, ის ეუბნება მთავარ გმირს, რომელიც ამ შემთხვევაშიც ავტორის პროტაგონისტია, რომ ვერ წარმოიდგენს ,, რა შვებაა ღმერთის იდეისგან გათავისუფლება. რომ საკუთარი თავის ღმერთიც და ეშმაკიც თვითონაა, თავად განაგებს საკუთარ ცოდვასაც და სინანულსაც. რომ აფსუს, რად უფრო ადრე არ?! მაშინ ხომ გაცილებით... მაშინ ხომ ბევრად... ...ცხოვრებაა თუ სროკია მართლა“ [ფხაკაძე,2009: 17-18]. მთავარ გმირი კი სულ სხვანაირად გრძნობს უფლის ძალას, რწმენის დანიშნულებას საუკუნეთა განმავლობაში და საკუთარი თავით იმედგაცრუებას გრძნობს, რადგან კარგად ვერ დაუსაბუთა ნიკოს მისი თეორიის მცდარობა, ან იქნებ სწორედ იმიტომ არ დაუსაბუთა, რომ ბოლომდე გამოგვატანინოს სააშკარაოზე კითხვები და პასუხები და დასკვნები საკუთარ თავშივე მოგვაძიებინოს: ,,რად არ ვიქეცი უცებ მისიონერად? რად არ

დავდექი სადარაჯოზე, როგორც იტყვიან ხოლმე? ...რად ვარჩიე ცრუ სიმშვიდე მართალ მღელვარებას?

...იმიტომ, რომ ვერ ვყავარ, ეტყობა, ზენას მთლად ის, ვისობაზეც ვდებ ხოლმე თავს. ვერ ვყავარ შუშანიკ და ვერც მისი აჩრდილის აჩრდილი! ფარისეველი ვყავარ და ცრუ“ [ფხაკაძე,2009: 19]. ვთვლით, რომ გმირის ეს პროტესტი საკუთარი თავის წინააღმდეგ სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ადამიანებს თავები უფრო შეგნებულ მორწმუნეებად მოგვაქვს, ვიდრე სინამდვილეში ვართ და ამიტომ, ამ მსჯელობით, საკუთარ თავზე ჩაფიქრებასაც გვერდს ვერ აუვლის მკითხველი.

ავტორის დამოკიდებულება რელიგიასთან ბევრ მოთხრობაში ჩანს, თუმცა, ამ შემთხვევაში, პერსონაჟთა კამათის მთავარი ქვაკუთხედი სწორედ ის არის- რწმენა თავისუფლებაა თუ ,,თავისუფლების აღკვეთა“, როგორც ნიკოს წარმოუდგენია.

ამასთანავე, რომანში არაერთგზის არის ფრენის სიამოვნებაზე საუბარი, ფრენა კი, ალეგორიულად, თავისულების გამოხატულებაა როგორც ამ შემთხვევაში, ისე, მაგალითად, მოთხრობაში ,,ცოდვილთა თავშესაფარი“, სადაც: ,, სანდრო ფიქრობდა, რომ ციხე გარეთაა. რომ გარეთ ყველა დროის პატიმარია. ...სანდრო ფიქრობდა, რომ დაღალა მაჯაზე ცქერამ. ...ფიქრობდა, რომ დიდი დრო გაატარა დროში. რომ უდროობის დროა.

ზოგჯერ ფრენდა. უფრო მაშინ, როცა გაზაფხულის მალემსრბოლი ქარები დაქროდნენ გარეთ და რაღაცას, ძალიან ამაღელვებელს იუწყებოდნენ“ [ფხაკაძე, 2011: 250].რომ არა პირდაპირი გაცხადება ციტატაში, რომ ,,ციხე გარეთაა“, ვფიქრობთ, ჩვენთვის ისედაც ნათელი იქნებოდა, რომ მალმსრბოლ ქარებთან ერთად ქროლვაში ავტორი თავისუფლების წყურვილსაც გამოხატავს და არა მხოლოდ ფრენის იდეისადმი ლტოლვას.

გიზიც („ნოქტიურნი“) თვლის, რომ მას თავისუფალი ნების, საკუთარი მისწრაფების გამოხატვის უფლება სწორედ უფლისგან შეეზღუდა, იგი ბავშობიდან თანდაყოლილი ნაკლით დაიბადა, რის გამოც მის ოცნებას ასრულება არ ეწერა, აქედან გამომდინარე, გიზის ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულაება ჰქონდა ღმერთის მიმართ. ადამიანებს

ყველას სხვა და სხვა რამ სჭირდება სრული ბედნიერებისთვის ზოგს ფული,ზოგს კარიერა, ხოლო გიზისთვის ბედნიერების მოტანა თითებს შეუძლიათ „ გიზიმ უკვე იცოდა -ეს მისი თითები იყო ...ამ თითებით უნდა ემოგზაურა საკუთარ ბედნიერებაში“[ფხაკაძე,2011: 259]. ბედის ირონიით კი, სწორედ თითებშია მისი ფიზიკური ნაკლი. დროთა განმავლობაში მისთვის თითებს სიმბოლური დატვირთვა ენიჭება, თითები მისი ოცნება, ბედნიერების წყარო და თავისუფლების გასაღებია. თანდაყოლილი ნაკლის გამო ამ ყოველივეს უქონლობამ კი რწმენა დააკარგვინა, რადგან ჩათვალა, რომ მას ღმერთი უსამართლოდ მოექცა, ის კი დაბადებამდე ამას ვერაფრით დაიმსახურებდა, ხოლო რაც არ დაუმსახურებია ის უსამართლობაა... ეს პროტესტი მისთვის პრინციპულია და ჩანს იქიდან, რომ გიზი არასოდეს იწერდა პირჯვარს და უფლის არსებობისაც არ სწამდა. აქვე, პრობლემების განსხვავებული აღქმის თალსაზისით, საინტერესოა, რომ მწერლის აქცენტირებით გიზი:,,ღმერთზე ნაწყენი და გაბრაზებულიც კი იყო. იმიტომ კი არა, ორი თითი რომ დააკლო. არა. იმიტომ, რომ ზეგარდმო სიმუხთლედ მიიჩნია მუსიკით ასე მოჯადოება. ღვთაებრივ დაცინვად ჩათვალა...“ [ფხაკაძე,2011: 256].ანუ გიზი თვლის, რომ მას მოაკლეს უფლება, თავად, საკუთარი შესაძლებლობების და სურვილისამებრ აირჩიოს რა მოწონდეს და რით იყოს მოჯადოებული, ჩანს რომ, ის ფიზიკურ ნაკლზე კი არა, მისი უფლების შეზღუდვაზეა ნაწყენი. მაგრამ სწორედ მაშინ, როცა, უკვე ყველნაირი იმედი დაკარგული აქვს და საბოლოოდ იჯერებს, რომ მის სურვილს ასრულება არ უწერია და ამ აუხდენელ ოცნებასთან თანაცხოვრება მოუწევს სამუდამოდ, მის ცხოვრებაში ჩნდება გოგო, რომელსაც თვადაც ცხოვრების შეცვლა სწყურია და თან დაჯილდოვებულია მუსიკის ნიჭით და, რაც ყველაზე მთავარია, გოგონას ძალუძს შეავსოს გიზის ნაკლი. ამ დროს, გიზიც ხვდება, რომ ღმერთს შეუძლია გამოუვალი მდგომარეობა სასწაულებრივად შემოაბრუნოს და სრულიად წარმოუდგენელ დროს, როდესაც ყველა იმედი გადაწურულია დააბრუნოს რწმენაც, იმედიც და სულიერი თავისუფლებაც, ისე როგორც მოთხრობებში ,,ალიკო“; ,,თადეოზა“ და ა.შ. მოთხრობის ფინალურ ნაწილში გიზი პირჯვარს იწერს და ამით მკითხველს აძლევს მინიშნებას, რომ უფლის გზა ჭეშმარიტია და არ ღირს ამ გზისგან აცდენა.

თამრი ფხაკაძე განსხვავებული ვარიაციებით გვთავაზობს თავისუფლების განცდის მისეულ ხედვას, რამდენადაც თავისუფლება მრავალი ფაქტორით შეიძლება შეიზღუდოს. მაგალითისთვის, მოთხრობაში ,,ჟამი არს რისა“ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ცდილობენ სხვათა თავისუფლების შეზღუდვას, ამის გამოა, რომ ევგენ ბატონს ადამიანური ღირებულებებისგან ნუგოს განძარცვა არ გამოსდის და უფრო მეტიც, მოთხრობის მეორე თავი- ,,ღიპთა ვარამი“, ცხადყოფს, რომ ევგენ ბატონები, რომელიც კრებითი სახეა, თავად არიან ისეთი უკიდურესობამდე დამონებულები კუჭზე, რომ მათი ფულიანობა, გავლენიანობა და თავისუფლება სწორედ ,,კუჭის ამოყორვით“ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ. სიმბოლურია რომ ,,ევგენების“ თავყრილობაზე მძლავრი მიკროფონით გაძლიერებული გამოსვლებია, მაგრამ მათ სიტყვებს გარეთ უმიკროფონოდ მოჭიკჭიკე ჩიტის სტვენა სიმბოლურად გადაფარავს, რაც ასევე იმას ნიშნავს, რომადამიანური თავისუფლებისთვის მთავარი შინაგანი ხმაა და არა მიკროფონით - ხელოვნურად გაძლიერებული.

მთლიანად ადამიანის თავისუფლებისკენ სწრაფვას ეძღვნება მოთხრობა ,, მე ლოკოკინა“. დასაწყისშივე აღვნიშნავთ, რომ გარდასახვისადმი ერთგვარი ინტერესი განსაკუთრებით შეიმჩნევა თამრი ფხაკაძესთან. მწერალი ამ ნაწარმოებში თუ ლოკოკინად წარმოიდგენს თავს, მოთხრობაში ,,ვნებანი“ კავკასიურ ნაგაზად გარდაისახება. ძალიან საინტერესოა პარალელური გააზრებაც ამ ნაწარმოებებისა,ერთის მხრივ, გოდერძი ჩოხელის მოთხრობასთან ,,თევზის წერილები“ და მეორეს მხრივ, ფრანც კაფკას მოთხრობასთან ,,გარდასახვა“. გოდერძი ჩოხელის გმირი- გამიხარდაი, გადაწყვეტს, რომ ადმიანობა აღარ უნდა და თევზობა სურს, შემდგომ კი, მდინარეში ჩამდგარი წყლიდან აღარ ამოდის და ყველას და საკუთარ თავსაც, არწმუნებს, რომ ამიერიდან იგი თევზია. გამიხარდაის საქციელიც პროტესტია ამქვეყნიური უსამართლობის და მასაშადამე პიროვნული თავისუფლების დასაცავად. ფრანცკაფკასსაყოველთაოდაღიარებულიმცირეშედევრის,მოთხრობა „გარდასახვის“მთავარიგმირი კი, გრეგორზამზა,ერთმშვენიერ დილასგაიღვიძებსდააღმოაჩენს, რომ დიდ და გაურკვეველ მწერადქცეულა, თუმცა ამ

გარდასახვაზე უფრო მტკივნეული მისთვის ის განცდაა, რომ ოჯახი, პრაქტიკულად, უპარტონოდ დარჩა.როგორც ნოდარ კაკაბაძე აღნიშნავს წიგნში - ,,პორტრეტები და სილუეტები“: ,,კაფკას ნაწარმოებს ყოველი შესავლის, ყოველი შემზადების გარეშე შევყავართ ფანტასტიკურ, კურიოზულ სიტუაციაში, რაც თვით გმირის ადრინდელი ცხოვრებისათვისაც არ არის ნორმალური“ [კაკაბაძე, 1971: 82]. ეს კი შესანიშნავად ძალუძს თმრი ფხაკაძესაც.

მოთხრობაში ,,მე ლოკოკინა“, ავტორი თავად ცხოვრებას გაიაზრებს ლოკოკინის ნიჟარად, რომელიც ჩარჩოში აქცევს ადამიანს, პერსონაჟის მონოლოგის ადრესატი, ამ შემთხვევაშიც, უფალია, რამდენადაც საკითხი ზოგადსაკაცობრიოა და იგი ადამიანსა და უფალს შორის არის გასარკვევი. აქაც, ფრენა თავისუფლების გამოხატულების მეტაფორაა: „გავფრინდები! გავქროლდები! ქარზე უსწრაფესად! უმსუბუქესად! მთავარია... მთავარია, უკან არ მოვიხედო და მიტოვებული, გამოცარიელებული ეს არ დავინახო... აი ეს ... ჩემი სახლი - სატუსაღო...

...ვფიქრობდი: მორჩა! თავისუფალი ვარრ!! ეს ამხელა სამყარო ჩემია!

...უფალო, ჩემი უნდა გახდეს ყველაფერი! მთელი თავისუფლება, მთელი სიცოცხლე და თვით - მთელი სიკვდილი“ [ფხაკაძე,2011: 172]. მაგრამ გმირი აღმოაჩენს, რომ ცხოვრებისეულ ჩარჩოებში არის ბუნებრივი კანონზომიერებები და თავისუფლება სწორედ ამ სივრცეში უნდა მოიპოვო და არა სამყაროდან გაქცევით: ,,სწორედ მაშინ, უფალო, როცა საკუთარი არსებისთვის რაღაც ახალი სახელი უნდა დამერქმია, სწორედ მაშინ... ერთბაშად მოვიწყინე და ზურგზე, რომელზეც უახლოეს წამებში ფრთების ამოსვლას ველოდი, აი ის ადგილი, სადაც უწინ ჩემი სახლი მედგა, სწორედისადგილი, თითქოს... ამიტირდა... დადავმძიმდი უფალო...“[ფხაკაძე,2011: 173]. ასე მიმართავს პერსონაჟი უფალს და, საბოლოოდ, იმ ნიჟარის პოვნისა და მშობლიურ წიაღში დაბრუნების სიხარულით აღტკინებული ასრულებს მონოლოგს, რაც ორმაგი კოდირებაა, სავარაუდოდ, და გარდა ჩვენი ზემოთ გაკეთებული განმარტებისა, სამშობლოში დაბრუნების თემასაც უნდა

გულისხმობდეს და ზემოთ განხილულ ემიგრაციის პრობლემასაც ეხმაურებოდეს ჩვენი აზრით.

მოთხრობაში ,,ვნებანი“, როგორც უკვე აღვნიშნეთ პერსონაჟი, რომელიც თავადაც მწერალია, კავკასიური ნაგაზის როლს ირგებს და სიღრმისეულად ითავისებს გატაცებული და დატყვევებული ძაღლის განცდებს. ამ განცდების ასახვაც ასევე ორმაგი დატვირთვის მატარებელია, ჩვენი შეფასებით. პირველი ის არის, რომ დატყვევებული ძაღლის განცდები პიროვნული თავისუფლების იდეას ახმოვანებს, თუმცა დამტყვევებლების რუსული აქცენტი, ძაღლის ჯიშის მუდმივი კონკრეტიზაცია - კავკასიური ნაგაზი და არა რომელიმე სხვა ჯიში, ძაღლის ფიქრთა მდინარებაში შემოჭრილი აფხაზეთის თემა, რომლისკენაც გარბის იგი ტყვეობიდან გამოქცეული - ასევე ხაზს უსვამს, რომ სამშობლოს დამოუკიდებლობა, მისი ნაწილების ტყვეობიდან დახსნა, ქართველისთვის პიროვნული თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქართველი მწერლის - თამრი ფხაკაძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები; შეევცადეთ თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში წარმოგვეჩინა მწერლის ინდივიდუალური სამყაროს ის ნიუანსები, რომელთა მეშვეობითაც, მისი პროზა გამორჩეულ ადგილს იკავებს მიმდინარე სალიტერატურო პროცესში, ასევე ვეცადეთ საკითხები შეგვესწავლათანამედროვე ლიტერატურისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით.

ნაშრომიწარმოადგეს 70 გვერდს, შედგება ანოტაციის, შესავლის, 4 თავის,8 პარაგრაფისა და დასკვნისაგან. **პირველ თავში** განხორციელებულია კვლევა საკითხის შესწავლის ისტორიის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ მასალები საკმაოდ მწირია, პირველი თავის ფარგლებში, ჩვენ გულმოდგინედ და კეთილსინდისიერად შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად, მოგვეძიებინა არსებული სტატიები თუ კვლევანი და მათი მცირე მიმოხილვაც გაგვეკეთებინა.

მეორე თავი შეეხება ქართულ-რუსული კონფლიქტის გამოძახილს ქართულ ლიტერატურაში და მოიცავს ორ პარაგრფს, რომლებშიც განხილულია, ერთის მხრივ,ოთხმოცდაათიანი წლებით დაღდასმული თაობის სახე და ამ რთული წლების გავლენა ოცდამეერთე საუკუნის საქართველოზე, ხოლო მეორე პარაგრაფის ფარგლებში განვიხილავთ თამრი ფხაკაძის შემოქმედებაში ასახულ ომის ფრაგმენტებს.

მესამე თავში განვიხილავთ რეალისტურ პროზას და პირველ პარაგრაფში უშუალოდ ვეხებით პერსონაჟებში ავტორის ძიების საკითხს, ხოლო მეორე პარაგრაფში შევისწავლეთ ადამიანური საზრისის, ადამიანის დანიშნულების ძიებას მწერლის შემოქმედებაზე დაყრდნობით.

მეოთხე თავში კი რომელიც ოთხ პარაგრაფს მოიცავს, გამოყოფთ ავტორისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ყოფით პრობლემატიკას, რომელიც თემატური თვალსაზრისით ტენდენციის სახით იკვეთება თამრი ფხაკაძის პროზაში.

ამდენად, ჩვენი კვლევის შედეგად, გამოიკვეთა თამრი ფხაკაძის შემოქმედებისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი ტენდენცია, რომელთა ერთიანობაც ძალიან საინტერესოდ კრავს ამ უდაოდ ნიჭიერი ავტორის შემოქმედებას. ერთი შეხედვითაც საცნაური ხდება, რომ თამრი ფხაკაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობას უკვე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე ლიტერატურის ისტორიაში,მისი შემოქმედება მრავალმხრივია და თითქმის ამოუწურავი. აქვე დავძენთ, რომ კიდევ არაერთი საინტერესო ტენდენციის მოძიებაა შესაძლებელი, რომლის შესახებ ჩვენ არ ან ვერ ვისაუბრეთ, რადგან თამრი ფხაკაძის პროზა მრავალფეროვანი და ღრმად შინაარსიანია ხოლო ჩვენი ფორმატი შეზღუდული. მაგალითად, საერთოდ არ შევეხეთ თამრი ფხაკაძის მიერ შექმნილ საბავშვო ლიტერატურას, რადგან ვთვლით, რომ ეს კიდევ ცალკე მიმდინარეობაა და შემოქმედების დანარჩენი ნაწილიდან სრულიად დამოუკიდებლად არის საკვლევი; თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევძელით დასახული ამოცანის შესრულება და ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ, ამ მართლაც ჩინებული ავტორის შემოქმედების კვლევის საქმეში, ამასთან, დიდი იმედი გვაქვს, რომ თამრი ფხაკაძის შემოქმედების კვლევა ახლო მომავალში აუცილებლად გაგრძელდება და ბევრ საინტერესო სიახლეს შესძენს ქართულ სალიტერატურო კრიტიკას.

გამოყენებულილიტერატურა

1. გაფრინდაშვილი , მირესაშვილი , 2008: გაფრინდაშვილი ნანა, მირესაშვილი მარიამ, „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები“, თბილისი,2008 წ.
2. გიორგობიანი, 2019: გიორგობიანი ნინო, „ნიღბისეული დისკურსი ქართულ მოდერნისტულ პროზაში(ალექსანდრე ცირეკიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილჯავახიშვილისა და ლეო ქიაჩელის თხზულებების მიხედვით)“,თბილისი, 2019წ.
3. გოგებაშვილი, 2015: გოგებაშილიიაკობი „იავნანამრაჰქმნა”, თბილისი, 2015წ.
4. დოლინჯაშვილი, 2010: დოლინჯაშვილი თეონა, გაზეთი: „24 საათი“, 2010 წ.
5. კაკაბაძე, 1971: კაკაბაძენოდარ, ,,პორტრეტებიდასილუეტები“, გამომცემლობა ,,განათლება” , თბილისი, 1971 წ.
6. კაფკა, 2017: კაფკაფრანც,“გარდასახვა“, გამომცემლობა „ოჩოპინტრე“, 2017წ.
7. რატიანი,2008: რატიანი ირმა, ,,ფენომენოლოგიური კრიტიკა”. ლიტერატურის თეორია, ,,XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები“, ლიტერატურის ინსტიტუტის, გამომცემლობა:„თბილისი“, 2008 წ.
8. სვანიძე, 2017: სვანიძე ნატალია, დისერტაცია „პოსტკოლონიური პერიოდის ქართულ-რუსული ურთიერთობები ქართულ მხატვრულ და პუბლიცისტურ პროზაში“თბილისი, 2017წ.
9. სიგუა, 1994: სიგუა სოსო, ,,ავანგარდიზმი ქართულ ლიტერატურაში”, თბილისი, 1994წ.
10. სიგუა, 2014: სიგუა სოსო,მოდერნიზმი,თბილისი, 2014წ.
11. ფანჯიკიძე, 1986: ფანჯიკიძე გურამ,რჩეული თხზულებები IIIტომად, „რაციონალიზმი,რიტმი, ფსიქოლოგიზმი“, ტII,თბილისი, 1986 წ.
12. ფროიდი, 2015: ფროიდი ზ.„ჯგუფისფსიქოლოგიადა „მე“-სანალიზი“, ლიტერატურისთეორია, ქრესტომათია, ტომი III, თბილისი, GCLAPress,2015 წ.
13. ფხაკაძე, 2003: ფხაკაძე თამრი, „სანამ დაგვიძახებენ“,თბილისი: „დიოგენე“, 2003წ.
14. ფხაკაძე, 2009: ფხაკაძე თამრი,CV,თბილისი:„შემეცნება“,2009წ.

15. ფხაკაძე, 2011: ფხაკაძე თამრი,“სამნი მზის ქვეშ“,2011წ.

16. ქევანიშვილი, 2013: ქევანიშვილიეკა, „მისიიომი“, 2013 წ.

17. ჩეკურიშვილი, 2010: ჩეკურიშვილი ბელა, „ჩვენი მწერლობა“, 2010წ.

18. ჩოხელი, 2001: ჩოხელი გოდერძი,“თევზის წერილები“,გამომცემლობა“პირველი სტამბა“,2001წ.

19. ჭავჭავაძე, 2004: ჭავჭავაძე ილია ,“მგზავრის წერილები“, თბილისი,2004 წ.

20. ხორბალაძე, 2011: ხორბალაძე გიორგი, „მარადიული პრობლემების ხედვა თანამედროვე მოთხრობაში“, ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“ #8, 2011წ.

21. ხორბალაძე, 2014: ხორბალაძე გიორგი, „იების სევდა-გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები“,თბილისი, 2014წ.

22. ხორბალაძე, 2018: ხორბალაძე გიორგი, „რაკურსი“,თბილისი,2018 წ.

23. ჯავახიშვილი, 2017: ჯავახიშვილიმიხეილ, “ჯაყოსხიზნები“, თბილისი, 2017წ.

24. ჯანჯიბუხაშილი, 2018: ჯანჯიბუხაშვილიმაკო, “კაციმწერალი, ქალიმწერალი“, 2018წ.

25. ვაჟა-ფშაველა 2020:https://poetry.ge/poets/vazha-pshavela/poems/1k-mogoneba

    უკანასკნელადიქნაგადამოწმებული,06.08.2020 წ.

26. ფხაკაძე 2019: https://armuri.georgianforum.com/t636-topic

    უკანასკნელადიქნაგადამოწმებული,06.08.2020 წ.

27. https://www.facebook.com/134599826596078/posts/495022433887147/

    უკანასკნელადიქნაგადამოწმებული,06.08.2020 წ.

28. http://eprints.iliauni.edu.ge/6603/1/%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94.pdf

    უკანასკნელადიქნაგადამოწმებული,06.08.2020 წ.

29. https://openscience.ge/bitstream/1/648/2/samagistro%20giorgobiani.pdf

    უკანასკნელადიქნაგადამოწმებული,06.08.2020 წ.